Полученные результаты указывают, что колебания микроэлементов имеют определенную роль в патогенезе инфекционного гепатита.

Мы предполагаем, что в механизме колебания микроэлементов основную роль играет функциональная недостаточность печени. Вследствие некроза гепатоцитов при инфекционном гепатите нарушаются процессы синтеза и фиксации микроэлементов, чему в первую очередь способствует нарушение белкового обмена, желчевыделения и других сторон обмена веществ.

Для окончательного выяснения механизма нарушения обмена микроэлементов при инфекционном гепатите следует проводить комплексное изучение его с другими видами обмена веществ с параллельным определением в биопсионной ткани печени.

Механизму понижения золота при инфекционном гепатите трудно дать оценку, не зная его физиологической роли. Но эти наблюдения могут иметь определенную ценность в выяснении его возможной роли в физиологических и патологических условиях.

Выводы

1. При инфекционном гепатите в период разгара болезни имеет место колебание содержания микроэлементов в крови, причем содержание меди повышается значительно, а цинка умеренно. Уровень марганца меняется в меньшей степени. Количество золота на всем протяжении болезни остается пониженным.

2. Полученные нами результаты в отношении меди и цинка в сопоставлении с активностью сывороточных трансминаз имеют дифференциальное значение при диагностике желтух разной этиологии.

3. Колебание микроэлементов в крови находится в прямой зависимости от степени тяжести заболевания и функциональных нарушений печени (в первую очередь с нарушением белкового обмена).

4. Нормализация содержания микроэлементов отстает от клинического выздоровления и нормализации других сторон обмена веществ. В этом отношении она занимает четвертое место после нормализации билирубина, сывороточных ферментов и белкового обмена.

Академия наук Грузинской ССР
Институт физики

Тбилисский государственный
медицинский институт

(Поступило в редакцию 25.10.1966)

მასპერინგენტული მედიცინა

ბ. კვიციანი, ე. ბოცვაძე, ლ. მოსულიშვილი, ნ. კუპავა, ე. გინაშვილი
მიკროელემენტების ცვლის შესწავლისათვის ინფექციური ჰეპატიტის
დროს ნეიტრონული აქტივაციის მეთოდით

რეზიუმე

ჩვენ შევისწავლეთ სპილენძის, თუთიის, მარგანცისა და ოქროს ცვლა დინამიკაში ინფექციური ჰეპატიტისა და სხვა ეტიოლოგიის სიყვითლეების დროს (ნივთიერებათა ცვლის სხვა მხარეებთან ერთად).

მიკროელემენტების გამოკვლევა ვაწარმოეთ ატომურ რეაქტორზე, ნეიტრონული აქტივაციის ლაბორატორიაში.

დადგენილ იქნა, რომ ინფექციურა ჰეპატიტის დროს, დაავადების მწვავე პერიოდში, სიმძიმის შესაბამისად, ადგილი აქვს სისხლში სპილენძისა და თუთიის მომატებასა და ოქროს დაქვეითებას. მარგანეცის რაოდენობა შედარებით ნაკლებ ცვლილებას იძლევა.

გამოჯანმრთელების პერიოდში მიკროელემენტების მაჩვენებლები ნორმალიზდება პიგმენტური ცვლის, ფერმენტული მაჩვენებლებისა და ცილის ცვლის ნორმალიზაციის შემდეგ. ამ პერიოდში სპილენძის რაოდენობის ცვლილებები ჰიპერგამაგლობულინემიასთან და თიმოლის სინჯის მაღალ მაჩვენებლებთან ერთად შეფასებულ უნდა იქნეს, როგორც ცუდი პროგნოზული ნიშანი ინფექციური ჰეპატიტის ნარჩენ მოვლენებში.

ჰიპერკუპრემიას შრატის ფერმენტების (ტრანსამინაზების) აქტივობის დაბალ მაჩვენებლებთან ერთად ჩვენ ვაძლევთ დიფერენციულ-დიაგნოსტიკურ ღირებულებას მექანიკური სიყვითლეების დიაგნოსტიკაში.

დადოვიდავლი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Л. С. Бондарев. Обмен микроэлементов при болезни Боткина. Клиническая медицина, т. 40 № 2, 1962, 66—71.
2. М. А. Борисова. Клинико-биохимические параллели в изучении содержания меди и активности церулоплазмينا сыворотки крови при брюшном тифе, острой дизентерии и болезни Боткина. Советская медицина, 6, 1964, 45—51.
3. Т. В. Жернакова. Коэффициент железа/медь и факторы, влияющие на уровень микроэлементов в сыворотке крови при болезни Боткина. Терапевтический архив, вып. 11, 1962, 68—73.
4. Т. И. Мецкан. Обмен меди в организме больных эпидемическим гепатитом. Автореферат, Ташкент, 1960.
5. Ф. П. Ольгина. Обмен некоторых микроэлементов при инфекционном гепатите. Материалы научной сессии Киевского ин-та инфекционных болезней, 1965, 45—46.
6. А. Ф. Яковлев. Взаимосвязь между содержанием железа, меди, белка и липопротеидов в сыворотке крови больных эпидемическим гепатитом. Сборник научных трудов Иванова мед. ин-та, вып. 29, 1964, 48—52.
7. В. М. Сухарев, Н. М. Чистяков. Содержание меди, марганца, железа, никеля и кобальта в крови у больных болезнью Боткина. Терапевтический архив, 3, 1963, 38—42.
8. F. Hutterer, T. Hunya. Sschweiz. med. Wschr., Bd. 87, 1957, 190.
9. I. E. Underwood. Trace elements in Human and Animal Nutrition. Academic Press inc. New-York a. London, 1962.
10. А. З. Алиев. Колебания уровня цинка в крови больных инфекционным гепатитом. Научные труды ученых и практических врачей Узбекистана, сборник IV, 1963, 18—21.
11. А. З. Алиев. К вопросу обмена цинка в организме больных инфекционным гепатитом. Научные труды ученых и практических врачей Узбекистана, сборник V, 1965, 237—242.
12. М. Н. Назармухамедова. К вопросу о нарушении содержания марганца при инфекционном гепатите. Научные труды ученых и практических врачей Узбекистана, сборник V, 1965, 234—236.



კლინიკური მედიცინა

6. შლენტი

**ჟგა-სახის მიღამოში სპირტ-ნოვოკაინის 5%-იანი ხსნარის
 გამოყენების საკითხისათვის**

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 8.6.1966)

ტკივილის წინააღმდეგ ბრძოლა ეს არის ძლიერი სამკურნალო საშუალება. ორგანიზმში არ არსებობს არც ერთი ორგანო, რომელზედაც ტკივილი თავის კვალს არ ტოვებდეს, ამიტომ ტკივილგაყუჩება მიზნად ისახავს არა მარტო იმას, რომ ავადმყოფს თავიდან ააციდინოს მძიმე სუბიექტური შეგრძნებანი, არამედ იგი ამავე დროს დადებითად უნდა მოქმედებდეს პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე.

მედიცინისა და ქიმიის სწრაფმა განვითარებამ ტკივილგამაყუჩებელი მრავალი ახალი საშუალება და მათი გამოყენების ახალი მეთოდები წარმოშვა. საღლეისოდ მეტი წილი ქირურგიული მანიპულაციებისა, განსაკუთრებით პოლიკლინიკის პირობებში, ადგილობრივი ტკივილგაყუჩებით ხორციელდება. აღნიშნული მიზნისათვის გამოყენებულ ნივთიერებათაგან, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, პირველ ადგილზე ნოვოკაინი დგას. მაგრამ მრავალი მკვლევარის დაკვირვებებით დადგენილია, რომ სპირტის სუსტ ხსნართან ნოვოკაინის შერწყმის შედეგად ძლიერდება მისი საანესთეზიო თვისებები.

სპირტს, როგორც საინექციო სამკურნალო საშუალებას, გამოყენების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, განსაკუთრებით ნევრალგიის, ადგილობრივი სისხლძარღვოვანი სპაზმისა და სხვა შემთხვევებში, რომლის მიზანს ნერვში გამტარობის დარღვევა წარმოადგენს (ქიმიური ნერვოტომია). ამისათვის გამოიყენება მაღალი კონცენტრაციის სპირტი (70—80%) ინექციის სახით ენდო-ან პერინევრალურად. ასეთი ზემოქმედება ნერვში იწვევს ღრმა პარაბიოზულ გამოფიტვას, რაც კვირების, ზოგჯერ კი თვეების განმავლობაში გრძელდება. ზოგჯერ ნერვი შეუწავსებლად რჩება ასეთ მდგომარეობაში.

მკვლევართა წინაშე დაისვა საკითხი ნოვოკაინის საანესთეზიო მოქმედების განხანგრძლივების თვალსაზრისით, მის ხსნარს დამატებოდა სპირტის გარკვეული რაოდენობა. მიზანშეწონილად ცნეს სპირტის მინიმალური რაოდენობა, რაც მოქმედებს, როგორც ადექვატური გამღიზიანებელი. ამავე დროს მისი მცირე კონცენტრაცია ქსოვილებში არ იწვევს უარყოფით რეაქციულ მოვლენებს, რაც ქსოვილების ანთებად გაღიზიანებაში, ზოგჯერ ნეკროზშიც კი გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ ეს თავისებულებები ყველაზე მეტად გამომჟღავნდა 5%-იან სპირტ-ნოვოკაინის ხსნარში.

კლინიკურმა დაკვირვებებმა, 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარის გამოყენებისას, ზოგიერთი მწვავე ანთებადი დაავადების დროს, ნათელყო ამ მეთოდის მაღალი სამკურნალო ეფექტურობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ნოვოკაინის პროლონგირებული მოქმედება პერიფერიულ ელემენტებზე, რასაც უკანასკნელი ფუნქციონალურ ნორმალიზაციამდე მიყავს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარის პროლონგირებული საანესთეზიო მოქმედების უნარი ყბა-კბილთა სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს, სახელდობრ, როგორც სამკურნალო საშუალება გამოგვეყენებინა მწვავე ალვეოლიტებისა და ნევრალგიის ზოგიერთი ფორმის დროს, როგორც საანესთეზიო საშუალება კბილების ექსტრაქციისა და მცირე ამბულატორული ოპერაციების შემთხვევებში.

დაკვირვებას ვაწარმოებდით 1964 წლიდან ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის მე-სამე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ბაზაზე. დაკვირვებაში იმყოფებოდა 158 ავადმყოფი; აქედან კბილების ექსტრაქცია სპირტ-ნოვოკაინის ანესთეზიით ჩატარდა 120 ავადმყოფს. 20 შემთხვევაში ჩატარებულ იქნა ამბულატორული ოპერაციები; სახელდობრ: ხუთ შემთხვევაში ნეიშანის ოპერაცია, სამ შემთხვევაში — მტოცავი გრანულომის გამო, ორ შემთხვევაში — სეკვესტროექტომია, ოთხ შემთხვევაში — რეპლანტაცია, ოთხ შემთხვევაში ცისტექტომია და ორ შემთხვევაში — ათერომის ამოკვეთა.

15-ჯერ აღნიშნული ხსნარი ბლოკადის სახით გამოყენებული იყო კბილბულის მწვავე ტკივილისას, 3-ჯერ კი სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს.

ჩვეულებრივ ჩვენ ვხმარობდით ერთ ნაწილ 96%-იან სპირტს, 20 ნაწილ 1-ან 2%-იან ნოვოკაინის ხსნარზე. ამრიგად, ვღებულობდით სპირტ-ნოვოკაინის 5%-იან ხანარს.

აღნიშნული ხსნარი, მანიპულაციების ჩატარებისას და მის შემდეგ, უზრუნველყოფდა მაქსიმალურ გაუტკივარებას. აღსანიშნავია, რომ პოსტოპერაციულ პერიოდში ტკივილის შეგრძნება იწყებოდა ბევრად უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 2—3 საათის შემდეგ, და გრძელდებოდა ხანმოკლე დროის განმავლობაში; ზოგჯერ ოპერაციის შემდგომი ტკივილის პერიოდი სრულიად არ აღინიშნებოდა.

ყურადღებვია აღნიშნული ხსნარის მოქმედება ყბების მწვავე ოსტეომილეტის შემთხვევებში, არა მარტო როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, არამედ როგორც ანთებადსაწინააღმდეგო ფაქტორიც.

ჩვენმა დაკვირვებებმა ნათელყო, რომ მწვავე ოსტეომილეტის დროს 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარი იძლევა განკურნების კარგ ეფექტს. გამომდინარე ა. ვ ი შ ნ ე ვ ს კ ი ს მონაცემებიდან, ნოვოკაინის ბლოკადის მაქსიმალური შიდეგიანობის შესახებ მწვავე ანთებადი პროცესების დასაწყის სტადიაში, სპირტ-ნოვოკაინის ინექციას ავადმყოფს ვუკეთებდით მომართვის პირველსავე დღეს. ამით ჩვენ ვაღწევდით მგრძნობიარე ნერვულ დაბოლოება-

თა გახანგრძლივებულ ბლოკადას, რაც საჭიროებისამებრ მეორდებოდა. მიზეზობრივ კბილს ჩვეულებისამებრ ვუღებდით.

ამრიგად, ანთებადი პროცესი მიმდინარეობდა პროლონგირებული გაუტკივარების ფონზე და ავადმყოფს დიდ შეღავათს აძლევდა, რაც წარმოადგენს მარეგულირებელ ფაქტორს პათოლოგიური პროცესის უფრო სწრაფი კუპირების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ პროცესის უკუგანვითარება მოხდა ბევრად უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ჩვეულებრივი წესით მკურნალობის დროს 35 შემთხვევიდან, რომელთაგან 24 მოდიოდა ზედა, 11 კი — ქვედა ყბაზე, 32 შემთხვევა დამთავრდა აბორტულად, ხოლო 3 შემთხვევაში საჭირო გახდა პირსშიგნითა განაკვეთი ჩირქის ევაკუაციის მიზნით.

აღნიშნული ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ა. ვიშნევსკის მონაცემებს, რომ ნოვოკაინით ნერვების ბლოკი დაავადების პროცესში ცვლის ნერვული სისტემის საერთო არახელსაყრელ ტროფიკულ მდგომარეობას, რითაც ხელს უწყობს პათოლოგიური პროცესის ლიკვიდაციას; რომ ნოვოკაინის ბლოკის გამოყენება მწვავე პროცესების შემთხვევებში წარმოადგენს სასარგებლო სამკურნალო ღონისძიებას, ვინაიდან იგი ამალღებს ანთებადი ქსოვილის წინააღმდეგობის უნარს.

ს პ ე რ ა ნ ს კ ი ნოვოკაინის ხსნარით ინფილტრაციულ ანესთეზიას ხსნის როგორც სუსტ გამღიზიანებელს, რაც ხელსაყრელად მოქმედებს რა პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობაზე, ქმნის პირობებს შინაგან ურთიერთობათა შესაცვლელად.

პაროდონტოზის დროს სპირტ-ნოვოკაინის ხსნარის ინექციამ მოგვცა გარკვეული სამკურნალო ეფექტი, რაც გამოიხატა მწვავე ანთებადი პროცესის დროებით ლიკვიდაციაში; ამან უფლება მოგვცა აღნიშნული ინექციები განმეორებით ჩავეტარებინა. ანალოგიურ შედეგებზე მიუთითებს ვ ა ი ს ბ ლ ა ტ ი ც [2]. იგი აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ორი-სამი ინექციის შემდეგ გამწვავება ქრება და ავადმყოფი კლინიკურად უმჯობესდება.

რაც შეეხება რეპლანტაციის 4 შემთხვევას, უნდა აღინიშნოს, რომ სპირტ-ნოვოკაინის ბლოკადით ჩატარებული ოპერაცია ბევრად უფრო შეღავათიანი აღმოჩნდა ავადმყოფისათვის, ვინაიდან ოპერაციის-შემდგომი ხანა თითქმის უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, რაც ხელს უწყობდა რეპარაციული პროცესების გააქტივებას. ნევრალგიათა სამ შემთხვევაში (სამი შემთხვევა მესამე ტოტს შეეხებოდა) ჩატარებულ იქნა 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარით საძილე ბოლქვის ბლოკადა 3-დან 4 ინექციამდე სამი დღის ინტერვალებით.

აღნიშნულმა მკურნალობამ გარკვეული შეღავათი მისცა ავადმყოფებს მითუმეტეს, რომ ისინი ქრონიკულად იყვნენ დაავადებულნი და მათზე ნაცადი იყო მკურნალობის ყველა წესი. უნდა აღინიშნოს რომ ს. ვ ა ი ს ბ ლ ა ტ ი ს [2] მონაცემებიც, ამასვე მეტყველებენ. დიდ მასალაზე ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე ს. ვაისბლატი გამოთქვამს აზრს, რომ სპირტ-ნოვოკაინის სუსტი ხსნარის (იგი ხმარობს 10%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარს) ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი არაფრით არ ჩამოუვარდება ჩვეულებრივი 80%-იანი სპირტის

ხსნარით მიღებულ ეფექტს. პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში იგი მეტი უპირატესობით ხასიათდება.

მწვავე ალკოლიტების მკურნალობა პრაქტიკოსი ექიმებისათვის ყოველთვის ძიების საკითხია, ვინაიდან სტომატოლოგიის პრაქტიკაში ექსტრაქციის შემდგომი კბილბუდის ტკივილი საკმაოდ ხშირი მოვლენაა. აქაც ჩვენ ვკადრეთ პროლონგირებული 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარის ბლოკადა. აღსანიშნავია, რომ ამ წესმა დიდი სამკურნალო ეფექტი მოგვცა. ავადმყოფს ტკივილის ფაქტორი მოეხსნა, რაც ყველაზე მეტად შემაწუხებელია ამ დაავადების დროს.

ოპერაციის სხვა შემთხვევაშიც მიღებულია გაუტკივარების კარგი ეფექტი, ოპერაციის შემდგომი პერიოდის სადა მიმდინარეობით. ნაოპერაციევი მიდამოს შეშუპებას ადგილი არ ჰქონია, რაზედაც მიუთითებენ ლიტერატურული მონაცემებიც [1, 2, 4].

რაც შეეხება კბილების ექსტრაქციითა შემთხვევებს, აღსანიშნავია, რომ ექსტრაქცია მიმდინარეობდა მაქსიმალური გაუტკივარებით და არც ერთ შემთხვევაში არავითარ გართულებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ხსნარი იხმარებოდა როგორც ინფილტრაციული, ისე გამტარი ანესთეზიისათვის.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სპირტ-ნოვოკაინის ხსნარი გამორიცხავს პენიცილინთან კომბინაციის შესაძლებლობას. ადრენალინის დამატება წინააღმდეგ ნაჩვენები არ არის, ვინაიდან სპირტი, მით უმეტეს მისი სუსტი ხსნარი, არ უკარგავს მას სისხლძარღვთა შემავიწროვებელ თვისებებს.

დასკვნები

1. 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარი იძლევა რა მგრძობიარე ნერვების გახანგრძლივებულ ბლოკს, წარმოადგენს კარგ სამკურნალო საშუალებას სხვადასხვა დაავადებათა დროს, განსაკუთრებით, როდესაც დომინირებს ტკივილის სინდრომი.

2. 5%-იანი სპირტ-ნოვოკაინის ხსნარი, როგორც ანთებადსაწინააღმდეგო ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყბა-კბილთა სისტემის სხვადასხვა სახის ანთებადი დაავადებების შემთხვევაში როგორც პროფილაქტიკური, ისე სამკურნალო მიზნით.

3. აღნიშნული ხსნარი იძლევა რა ტკივილგაყუჩების მაქსიმალურ ეფექტს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყბა-კბილთა მიდამოში სხვადასხვა სახის მანიპულაციების ჩატარების დროს, როგორც კარგი საანესთეზიო საშუალება.

ექიმთა დახელოვნების თბილისის
სახელმწიფო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვია 8.6 1966)

Н. И. ЖГЕНТИ

К ВОПРОСУ ПРИМЕНЕНИЯ 5% СПИРТ-НОВОКАИНОВОГО
 РАСТВОРА В ЧЕЛЮСТНО-ЛИЦЕВОЙ ОБЛАСТИ

Резюме

С целью изучения анестезирующего и лечебного действия 5% спирт-новокаинового раствора при зубо-челюстной патологии, нами произведены наблюдения на 158 больных, из коих посредством спирт-новокаиновой блокады 120 была произведена экстракция зубов, а в 20 — разные амбулаторные операции.

15 раз была произведена 5% спирт-новокаиновая блокада при острых луночных болях и три раза блокада, при невралгии тройничного нерва. Обычно мы применяли одну часть 96° спирта на 20 частей 1 или 2% раствора новокаина.

На основании клинических наблюдений было установлено, что при длительной спирт-новокаиновой блокаде гораздо быстрее наступает анестезия и держится в 1,5—3 раза дольше, чем при действии одного новокаина.

Как лечебный фактор, оказывает противовоспалительное действие и повышает репаративные свойства кости. Вызывая пролонгирующий блок чувствительных нервных окончаний, действует как противоболевой фактор, что особенно эффективно выражено при острых луночных болях.

ՀԱՄԱՅՆՅԱԼԻ ԼՈՒՆՔԱԾՄԵՆ — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. И. И. Тошинский. О спирт-новокаиновом местном обезболивании. Хирургия, 10, 1947, 63—64.
2. С. Н. Вайсblatt. Новокаин-спиртовый раствор как обезболивающее средство и как лечебный фактор в челюстно-лицевой области. Стоматология, 1, 1963, 65—67.
3. А. Б. Эйкелс. Опыт лечения при вазомоторных ринитах эндоназальными инъекциями новокаина с 5% раствором спирта. Вестник оториноларингологии, 2, 1952, 35—38.
4. Н. А. Наджарян. Об анестезирующих качествах слабоспиртовых растворов новокаина. Труды Ереванского мед. ин-та, 8, 1956, 201—209.
5. Н. А. Наджарян. Лечение больных острыми воспалениями среднего уха спирт-новокаиновым раствором. Советская медицина, 1, 1955, 61—69.
6. М. Д. Дадяни. Влияние длительной спирт-новокаиновой блокады челюстей на трофические процессы. Автореферат, Тбилиси, 1963.
7. А. А. Вишнеvский. Проблемы клинической и экспериментальной хирургии. М., 1953, 5—16.



კლინიკური მიმდინარეობა

ლ. ლამბაშიძე

მუხლის სახსრის ტუმბერკულოზური ანთიზის
მკურნალობის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჯავახიშვილმა 28. 6. 1966)

ჩველსახსართა ტუმბერკულოზურ დაავადებებს შორის სპეციფიკურ გონიტს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს — 20% [1]. იგი ფართოდაა გაშუქებული როგორც სამამულო, ისე უცხოურ ლიტერატურაში [2, 3, 4]. მაგრამ დღეისათვის ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ შემდგომ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. ასეთია მაგალითად, რენტგენოლიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის (გამგე — პროფ. მ. კომახიძე) კლინიკური მასალა გონიტების შესახებ. სულ აღმოჩნდა 570 შემთხვევა (1919—1960); აქედან: ტუმბერკულოზური გონიტი — 406 შემთხვევა, ტრავმული გონიტი — 150, ლუესური გონიტი — 6, გონერეული გონიტი — 5, რევმატული გონიტი — 3.

ტუმბერკულოზური გონიტის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს ტრავმა და ორგანიზმის რეზისტენტობის დაკნინება. ტუმბერკულოზური ფონის არსებობა (ფილტვების ტუმბერკულოზი) ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას.

ლიტერატურის მონაცემებით [4], ტრავმის შემთხვევაში აღინიშნება ანთებითი რეაქცია, დაზიანებულ უბანში არტერიული სისხლის სიჭარბითა და ლეიკოციტოზით, რაც პირობას ქმნის ჰემატოგენური გზით მოტანილი კოხის ჩხირების გასააქტივებლად.

ჩვენი მასალის 406 შემთხვევიდან ტრავმას ანამნეზში აღნიშნავს 128 ავადმყოფი, რაც შეადგენს 31%-ს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ტრავმა არ განაპირობებს ტუმბერკულოზის განვითარებას, მაგრამ მას შეუძლია ფარულად მიმდინარე პროცესის გამოვლინება და გამწვავება [5, 6, 7].

ჩვენი მასალიდან მამაკაცი იყო — 327 (80,6%), ქალი — 79 (19,4%). ლოკალიზაციის მიხედვით მარჯვენა მუხლის სახსარზე მოდის 282 (70,9%) შემთხვევა, მარცხენაზე — 104 (25,8%), ორმხრივი — 20 (3,3%).

დაავადების სისწორე წლოვანების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 1-დან 5 წლამდე — 31 (7,6%), 6-დან 10 წლამდე — 70 (17,2%), 11-დან 20 წლამდე — 174 (42,8%), 21-დან 40 წლამდე — 78 (19,2%), 41-დან 60 წლამდე — 47 (11,4%), 61-დან ზემოთ — 16 (3,8%).

როგორც ირკვევა, მუხლის სახსრის სპეციფიკური პროცესით ხშირად სრული ასაკოვანი მამაკაცები ავადდებიან. მეტწილად ზიანდება მარჯვენა მუხლის სახსარი.

როგორც ცნობილია, კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ ტუბერკულოზური გინიტის ორ ფორმას — სინოვიურსა და ძვლის ფორმას. ჩვენი მასალის მიხედვით, სინოვიური ფორმა აღინიშნება 29%-ში, ხოლო ძვლის ფორმა — 71%-ში. ჩვენი მონაცემები ეთანხმება ლიტერატურულ მონაცემებს. პ. კორნევისა [1] და ტ. კრასნობაევის [6] ნაკრები სტატისტიკის მიხედვით სინოვიური ფორმა გვხვდება 15%-ში, ძვლის ფორმა — 85%-ში.

დაავადების გამოსავლისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაავადების კლინიკურ ფორმას, არამედ აგრეთვე დაავადების ხანგრძლივობასაც. დაავადების ხანგრძლივობა საკუთარი მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: 0-დან 2 წლამდე — 205 (50,4%), 3-დან 5 წლამდე — 122 (30,1%), 6-დან 10 წლამდე — 52 (12,8%), 11-დან 15 წლამდე — 15 (3,8%), 15-დან ზემოთ — 12 (2,9%).

ცნობილია მუხლის სახსრის ტუბერკულოზური ანთების მკურნალობის კონსერვატიული და ქირურგიული მეთოდი. ამჟამად ფართოდ მიმართავენ მკურნალობის კომპლექსურ მეთოდს ანტიბიოტიკებით, ქიმიოთერაპიული საშუალებებით, ოპერაციული ჩარევით და იმმობილიზაციას თაბაშირის ნახვევით.

ტუბერკულოზური გინიტი ორგანიზმის ზოგადი დაავადების ადგილობრივად გამოხატული კერაა. სწორედ ამ ცნობილი დებულების საფუძველზე მკურნალობის დროს საჭიროა ზოგადი და ადგილობრივი ფაქტორების პარამონიული შესაბამე.

ანტიბიოტიკებიდან ყოველდღიურ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება პენიცილინი და სტრეპტომიცინი. ამას თან ერთვის ანტიტუბერკულოზური თერაპია (პასკი, ფტივაზიდი, ტუბაზიდი).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზმის რეზისტენტობის ამწევი საშუალებების ხმარებას, როგორცაა ვიტამინოთერაპია, გლუკოზა ვენაში, ღუმ-ლექსი და სხვა.

ჩვენი კლინიკის მასალის მიხედვით მხოლოდ კონსერვატიული მკურნალობა (ანტიბიოტიკები, ქიმიოთერაპიული საშუალებები, თაბაშირის ნახვევი, ორთოპედიული აპარატები და სხვა) ჩატარებულ იქნა შემთხვევათა 71,3%-ში. ოპერაცია გაუკეთდა 160 ავადმყოფს, ე. ი. 28,7%-ს; მათ შორის: მუხლის სახსრის ეკონომიური რეზექცია (კორნევი) — 116, მუხლის ამპუტაცია — 26, მეტაპლაზია (ვრედენით) — 5, Incisio — tamponatio — 4, ართროტომია — 2, ართროდეზი — 2, რედრესაცია — 2, საკორექციო ოსტეოტომია — 1, ტენოტომია — 1, პუნქცია — 1 შემთხვევა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მკურნალობის ყველა შემთხვევაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება წოლით რეჟიმსა და კიდურის იმმობილიზაციას. კომპლექსური მკურნალობის მეთოდის საილუსტრაციოდ მოგვყავს ამონაწერი ისტორიიდან.

ავადმყ. ნ. გ., 43 წლისა (ისტორია № 5181), შემოვიდა კლინიკაში 27. 9. 1953 წ. ტუბერკულოზური გონიტის დიაგნოზით (ძვლის ფორმა). ავადა 5 წელია. ავადმყოფს ჩატარებული აქვს კონსერვატიული მკურნალობა, უშედეგოდ). შინაგანი ორგანოები ნორმის ფარგლებშია. რენტგენოგრაფიაზე აღინიშნება მუხლის სახსრის დეფორმაცია. სახსარშია ნაპრალი წაშლილია. დიდი წვივის შიგნითა როკის გარეთა სახსარზე ზედაპირზე მოჩანს ძვლის დეფექტი. სახსარზე ზედაპირი აღინიშნება უსწორმასწორო კონტურებით. ეღრ — 40 მმ/საათში. ავადმყოფს გაუკეთდა მუხლის სახსრის ეკონომიური რეზექცია კორნევის მეთოდით. ოპერაციის შემდეგ დაედო თაბაშირის კოქსალური ნახვევი. საკონტროლო რენტგენოგრაფიაზე აღინიშნება მუხლის სახსარში შემავალი ძვლების სრული კონსოლიდაცია. კლინიკიდან გაეწერა კარგ მდგომარეობაში 162 დღის შემდეგ.

ბოლო წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა ოპერაციის ჩვენებები, რაც ანტიბიოტიკოთერაპიის დამსახურებაა [8]. ამის საფუძველზე მკურნალობის ხანგრძლივობა შემცირდა, რეციდივები გაიშვიათდა და გართულებული შემთხვევებიც შედარებით იშვიათია.

საკუთარი მონაცემებით, ტუბერკულოზური გონიტის ფისტულოზურ ფორმას ადგილი ჰქონდა 20 შემთხვევაში, რაც შეადგენს 4,4%-ს. მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფისტულოზური გონიტის დროს ფართოდ მიმართავენ ოპერაციულ ჩარევას (ეკონომიური რეზექცია კორნევი), რაც წინააღმდეგნაჩვენები იყო ანტიბიოტიკების შემოღებამდე [9].

შორეული შედეგები შევისწავლეთ 10 ავადმყოფზე, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა კომპლექსური მეთოდით (ეკონომიური რეზექცია პლიუს ანტიტუბერკულოზური თერაპია). ყველა შემთხვევაში აღინიშნება ტუბერკულოზური კერის ლიკვიდაცია, სახსრის სრული ანკილოზის განვითარება, კიდურის დამოკლება 2-3 სმ-ით, ე. ი. მიღებულია დამაკმაყოფილებელი შედეგი.

დასკვნები

1. ტუბერკულოზური გონიტი მეტწილად გვხვდება მარჯვენა მუხლის სახსარში (70,9%). იშვიათია ორმხრივი დაავადება (3,3%).
2. დაავადების კლინიკური სახეებიდან ჰარბობს ძვლის ფორმა (71%). შედარებით იშვიათია სინოვიალური ფორმა (29%). ავადმყოფები ძირითადად დაგვიანებით მიმართავენ კლინიკას, რის გამოც კერის პირველადი ლოკალიზაციის დადგენა არ ხერხდება.
3. უპირატესობა ეძლევა კომბინირებულ მკურნალობას, როგორცაა სპეციფიკური თერაპია სულფამიდებითა და ანტიბიოტიკებით, თაბაშირის ნახვევი, ოპერაციული ჩარევა.
4. არჩევით ოპერაციად ტუბერკულოზური გონიტების დროს უნდა ჩაითვალოს მუხლის სახსრის ეკონომიური რეზექცია კორნევის მეთოდით.

5. ოპერაციული მკურნალობის შორეული შედეგები დამაკმაყოფილებელია. ადგილი აქვს ტუბერკულოზური კერის ლიკვიდაციას სახსრის სრული ანკილოზის განვითარებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. ნათიშვილის სახელობის

მორფოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 28. 6. 1966)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

Л. С. ГАМБАШИДЗЕ

К ВОПРОСУ О ЛЕЧЕНИИ ТУБЕРКУЛЕЗНЫХ ГОНИТОВ

Резюме

Туберкулезный гонит занимает одно из первых мест среди туберкулезного поражения костно-суставной системы.

Нами был обработан материал клиники госпитальной хирургии лечебного факультета Тбилисского медицинского института о гонитах за 1919—1960 гг. Всего 570 случаев. Среди них туберкулезный гонит—406, травматический—150, лuetический — 6, гонорический — 5, ревматический — 3.

В клинике применяли комплексный метод лечения туберкулезного гонита — сульфамидо- и антибиотикотерапия, оперативное вмешательство, им мобилизация с помощью гипсовой повязки. Из 406 больных оперировали 160. В большинстве случаев произведена экономная резекция коленного сустава по методу Корнева (116). Изучены отдельные результаты. Итог удовлетворительный.

დაზოწიბიზული ლიბირატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. П. Г. Корнев. Хирургия костно-суставного туберкулеза. Л., 1964.
2. К. П. Полянская. Об эффективности стрептомицинотерапии в общем комплексе лечения взрослых больных, страдающих костно-суставным туберкулезом, осложненным холодными нарывами, свищами и явлениями сдавления спинного мозга. Проблемы туберкулеза, № 4, 1957, 39—46.
3. Г. Г. Герасимов. Лечение свищевых форм костно-суставного туберкулеза стрептомицином в комбинации с пенициллином. Проблемы туберкулеза, № 1, 1957, 53—55.
4. А. А. Сперанский. Природа неспецифической резистентности к туберкулезу. Сб. работ «Нервная система в патогенезе туберкулеза», М., 1946, 3—23.
5. Т. Н. Краснобаев. Костно-суставные туберкулезы у детей. Л., 1947.
6. Т. Н. Краснобаев. Типы течения костно-суставного туберкулеза. Проблемы туберкулеза, № 4, 1944, 3—4.
7. მ. ჩაჩავა. მუხლის სახსრის ტუბერკულოზი. თბილისი, 1952.
8. В. Вайтчев, В. Сандарти, К. Тчокава. Orthopedie et traumatologie operative. Sofia, 1958, 592—593.
9. Г. Н. Дмитриева. Пенициллинотерапия свищевых форм костно-суставного туберкулеза. Проблемы туберкулеза, № 3, 1953, 91.



ბ. გულავა

მახვილის ადგილისათვის ხუნძური მნის ზმნაში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ 1.3.1966)

ხუნძური მახვილი სუსტი დინამიკურია და მოძრავი, თუმცა მისი ადგილი შეზღუდულია პირველი ორი მარცვლით (სიტყვის თავიდან) ([1], გვ. 114, შდრ. [2], გვ. 14). ზმნაშიც მახვილი მეორე მარცვალს არ გადმოსცილდება, ამასთან პარადიგმაში მისი ადგილი უცვლელია¹ ([1], გვ. 114; აგრეთვე [3], გვ. 273—274): ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა დრო-კილოთა ფორმას მახვილი ერთსა და იმავე ადგილას აქვს, თუნდაც ხმოვანი იცვალოს, მაგ., ინფინიტ. ყრტიზე „ჰრა“, ჰეყზე „სმა“; აქმყ. ყრტულა, ჰეყზლა; მყოფ. ყრტილა, ჰეყლა: ნამყ. ყრტანა, ჰეყანა; ბრძან. ყრტე! ჰეყე!...

ხუნძურ ზმნას მახვილი პირველ ან მეორე მარცვალზე მოუდის, მაგრამ დღემდე არაა ცნობილი, თუ როდის აქვს ხუნძური ზმნას მახვილი პირველ მარცვალზე და როდის—მეორეზე². ირკვევა, რომ ხუნძური ზმნის მახვილის ადგილი შესაძლებელია დაფორმულდეს საკმაოდ მარტივი ავტომატურად მოქმედი წესის სახით. ამისათვის საკმარისია ვიცოდეთ ინფინიტის ფორმა (რაც სალექსიკონო ფორმაცაა). მახვილის ადგილის გასაგებად ინფინიტის ფორმას უნდა ჩამოვაშოროთ -იზე (-ინე), ხოლო თუ ასეთი რამ (-იზე, -ინე) არა გვაქვს, —ზე (-ნე) და მახვილი დავსვათ დარჩენილი ნაწილის ბოლო მარცვალზე. თუ ამ ელემენტების ჩამოცილების შემდეგ დარჩენილ ნაწილს ხმოვანი არ აღმოაჩნდა,—მაგალი დაისმის -იზე (-ინე)-ს ი-ზე³.

ბტც-იზე „ხენა“, ბტქ-იზე „გატება“, წაალ-იზე „წაკითხვა“, ბტქ-იზე „ანთება“, ჰრყ-იზე „შეკითხვა“, ბრც-ინე „მბობა“, ბრტც-იზე „სიყვარული“,

(¹ მახვილის ადგილის მუდმივობა სპეციფიკური ზმნური მოვლენა ჩანს.
² შ. მიქაილოვი ცდილობდა მახვილის ადგილი ზმნაში გაესაზღვრა იმის მიხედვით, ვანგრძობითი მოქმედებისა ზნა თუ არავანგრძობითის. ზოგადი ავტომატური ხასიათის კონსოზონიერების დადგენა მაინც ვერ მოხერხდა და ს.ჭირო გახდა დაშვება იმისა, რომ რიგი ზნა ისტორიულად ვანგრძობითი მოქმედებისად (ან რაღაც სხვა წარწოზობისად) მივიჩიოთ. არადერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ კონკრეტული ხასიათის კონსოზონიერებანი (ნასახელარი ზნეზი, ხნაზაძვითი ზმნეზი, ჰაზიზე-ს ტიპის ზნეზი... იხ. ქვევით) შეუძენველი დარჩა.
³ აქ წარმოდგენილი ანალიზი ეყარება ხუნძახურ დიალექტს, რომელიც საფუძვლად უდევს სალიტერატურო ხუნძურს. ამ დიალექტის ერთ-ერთ კილოკავს აღწერს პ. უსლარის გაცოკველევა [2]. სამხრულ დიალექტებში წიასწარი ცნობის მიხედვით ადგილი აქვს საგრძობ (დაგრამ სიტემური ხასიათის) რყევას. რაც შეეხება სახელის მახვილს, მას რიგი თავისებურება ახასიათებს და მისი შესწავლა ცალკე ივარაუდება.

ბრტ-ინე „ზომეა“, ბუტი-ზე „თხრა“, ჩურ-იზე „რეცხვა“... ლა-ზე „ცოდ-
ნა“, გვა-ზე „წერა“, თე-ზე „დატოვება“, ტე-ზე „დასხმა“... ზექტ-იზე „სირ-
ბილი“, ზასანდ-იზე „თამაში“, ზალაშ-იზე „ყურება“, აშტე-ზე „ყვირილი“,
კანწე-ზე „ხტუნაობა“ (განგრძობითი ფორმა. შდრ. არაგანგრძობითი კანწე-იზე
„ხტომა“), კოჩე-ზე „დავიწყება“, ჰეყე-ზე „სმა“, ჟობა-ზე „შერევა“, ქვანა-ზე
„ჰამა“, ჰუტა-ზე „ხერხვა“, ზი.იან-ზე „გაშვება“... წიორ-ზე „გაცივება“,
სორ-ზე „ცახცახი“, ტოლო-ზე „ცხენის შეკაზმვა“... ცვ-იზე „ბიძგება“,
ჰ-ინე „ჩატევა“, ინე „წასვლა“ (ფუძე სრულებით არა აქვს), სეჰ-ინე „ჩაქრო-
ბა“, ხეჰ-იზე „ხერება“ (1).

მას შემდეგ, რაც ზმნის მახვილის კანონზომიერება დავაფორმულეთ, შე-
იძლება მისი მოდიფიკაცია ზმნის სხვა ნაკვეთებიდან ამოსვლითაც. მაგ., მოსა-
ხერხებელია ამოსავლად ავიღოთ მასდარის ან ნამყოს აბსოლუტივის ფორმა.

ა) მასდარის ფორმას ჩამოშორდება დაბოლოება ი, ა, ინ, ნ და მახვილი
დაისმის დარჩენილი ნაწილის ბოლო მარცვალზე (ყტ-ი „ჭრა“, ლა-ა „ცოდ-
ნა“, ჰეყე-ა „სმა“, ბუკ-ინ „ყოფნა“, კოჩე-ნ „დავიწყება“ (2. თუ დარჩენილ
ნაწილს ხმოვანი არ აღმოაჩნდა,—მახვილი დაისმის დაბოლოების ხმოვანზე (ქვ-ინ
„ჰამა“).

ბ) ნამყოს აბსოლუტივის ფორმას ჩამოშორდება -უნ, თუ ეს დაბოლოება
არაა,—მაშინ მხოლოდ ნ და მახვილი დაისმის ბოლო მარცვალზე (ყტ-უნ
„გაჭრა რა“, ლა-ნ „იცოდა რა“, ჰეყე-ნ „დალია რა“, ბუკ-უნ „იყო რა“,
კოჩე-ნ „დაავიწყდა რა“). თუ დარჩენილ ნაწილს ხმოვანი არ აღმოაჩნდა,—
მახვილი დაისმის დაბოლოების ხმოვანზე (ქ-უნ „შეჰამა რა“...).

წარმოდგენილი ფორმულირება შეიძლება გავიაზროთ მორფოლოგიურა-
დაც: რამდენადაც -იზე (-ინე), -ზე (ნე) ელემენტების ჩამოშორებით გამოიყოფა
ზმნის ფუძე (3, ჩანს მახვილი ეცემა ზმნის ფუძის ბოლო მარცვალს (ხოლო თუ

(1 ზმნის ფუძე, რომელიც შედგება თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი + ვ-საგან, სხვადასხვა წარმომავლო-
ბისაა, მაგ., ცვ-იზე < ცუ-იზე (შდრ. ნამყო ცუნა), მაგრამ ჰეინე < ჰე-ინე (შდრ. ნამყო ჰე-ანა)...
მახვილის ადგილისათვის ამას მნიშვნელობა არ აქვს.

(2 მასდარის ბოლო ხმოვანზე მახვილის დასმა ფორმას სახელურ (არაზმნურ) შინაარსს აძ-
ლევს, რაც სწორად შენიშნა შ. მიქაილოვიმა ([1], გვ. 120—121) ყტ-ი „ჭრა“, ყტ-
დაწყმტილება“, ზი.ინდ-ი „თბობა“, ზი.ინდ-ი „სითბო“.

(3 ზმნის ფუძეს სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად გამოყოფენ. ზოგს ინფინიტივისე-
ული ზე (ნე)-ს წინ ჯველა ხმოვანი ფუძისეულად მიაჩნია, ზოგს, პირიქით, ეს ხმოვნები ინფინი-
ტივის დაბოლოებაში შეაქვს (-იზე, -აზე, -ეზე, -ოზე და ა. შ.), ზოგი კიდევ ა, ო, უ-ს ფუძისად
თვლის, ი, ე-ს კი მისგან განსხვავებულ ელემენტად. რომ ე ფუძისეული შეიძლება იყოს, ამას
კანწე-ის ტიპის მაგალითები გვიჩვენებს, სადაც ე ფუძის მაწარმოებელი მორფოლოგიური ელემ-
ენტია: კანწე-ზე „ხტომა“, კანწე-ზე „ხტუნაობა“ (ე—განგრძობითი მოქმედების ნიშანია). ეს ორი
ტიპი აფიქსებითაცა და მახვილითაც პარადიგმაში ერთმანეთს უპირისპირდება (აწყე. კანწე-ულა,
კანწე-რ-ლა, მყოფ. კანწე-ილა, კანწე-ჟ-ლა, ნამყ. კანწე-ანა, კანწე-ანა, მასდარ: კანწე-ი, კანწე-ა...). ზმნის
მახვილის წარმოდგენილი კანონზომიერება შეიძლება თვითონ მიგვანიშნებდეს ზმნის ფუძის სახ-
ლვარზე. ზმნის ფუძის საკითხი ცალკე შესწავლას მოითხოვს (კანწეზე, ჰეყეზე-ის ტიპის ზმნებს
გარკვეული თვალსაზრისით საშუალო ადგილი უჭირავს ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან
ზმნათა შორის). დავემატებთ, რომ როგორადაც არ უნდა გავიგოთ ზმნის ფუძე, მახვილის დად-
გენილი კანონზომიერება მწყობრი მოდდიკაციით მაინც შეეგუება მას. ვთქვათ, თუ ინფინიტივის

ფუძეს ხმოვანი არ აღმოაჩნდა,—სუფიქსის პირველ ხმოვანს ი-ს). მახვილს ასეთი გაგებით შეიძლება ფუძისა და დაბოლოების გამოყოფი (დელიმიტაციური) ფუნქცია აღმოაჩნდეს.

სქემატურად:

ფუძის მარცვლიანობა	ფუძე დაბოლოება	მაგალითი
უმარცვლო	0 $\frac{_}{_}$	ჰ-რნე „ჩატევა“
ერთმარცვლიანი	$\frac{_}{_}$ $\frac{_}{_}$	ყრტ-იზე „ჭრა“
მრავალმარცვლიანი	$\frac{_}{_}$ $\frac{_}{_}$	ქვანა-ზე „ჭამა“

უმარცვლო და ერთმარცვლიან ფუძეში მახვილი პირველ მარცვალზეა, მეტმარცვლიანში—მეორეზე.

წარმოდგენილი კანონზომიერების გვერდით ზმნათა და ზმნურ ფორმათა გარკვეულ ჯგუფებში დასტურდება მახვილის განსხვავებული კანონზომიერება. ხერხდება ზმნათა და ზმნის ფორმათა ამ ჯგუფების წინასწარი აღრიცხვა. ასე რომ მახვილის ზემოთ წარმოდგენილი მთავარი კანონზომიერება არ ეჯახება ქვემოთ მითითებულ ერთგვარად „ლოკალური“ ხასიათის კანონზომიერებებს:

1. ხმაბაძვითი ხასიათის ფუძეგაორკეცებულ ზმნებს მახვილი პირველ მარცვალზე მოუღობი: (†: ყვავა-იზე „ყიყინი, კაკანი“, ჰინჰინ-იზე „ჭიხინი“, ღუღუღ-იზე „ღღუღნი“, ბუბუღ-იზე „ბლაღილი“, მრმიდ-იზე „ქნაღილი“, რურუღ-იზე „ყუღილი“, მამა-ზე, მამად-იზე „ხარხარი“, ჭრჭიდ-იზე „ჭიჭიჭი“, ჭირჭიდ-იზე „ჭრიაღი“, მამა-ზე „ენის ბორძიკით ლაპარაკი“ („ბლუჭინი“).

არახმაბაძვითი ფუძის გაორკეცებისას (რაც ხუნძურში ხშირია), მახვილის ზოგადი წესი არ ირღვევა: ბქ-იზე „გატეხა“: ბქბქ-იზე „დამხსერვა“, წაწა-ზე „წევა“: წაწაწა-ზე „ხშირი წევა“ (ბქბქ-ი, წაწა- ორმარცვლიანი ფუძე და მახვილი მეორე მარცვალზეა). თუ ორმარცვლიანი ფუძე გაორკეცდა, ცხადია, მახვილი მეორე მარცვალზე იქნება (რადგან მახვილი მეორე მარცვალს ვერ გადმოსცილდება): ბქბქ-ბქბქ-იზე († „იქით-აქით რბენა“, ჰეყყ-ჰეყყ-ზე „დაღევა (მრავალისა)“. დასაშვებია თანამახვილიც (ბქბქ-ბქბქ-იზე).

გარეგნულად მსგავს სიტყვას მახვილი სხვადასხვა ადგილას მოუვა იმის მიხედვით, ხმაბაძვითია იგი თუ არა: ბამა-ზე „ენაბლუობა“ (ხმაბაძვითი): ბამა-ზე „ხშირი ცემა“ (გაორკეცებული ფუძე ბა-ზე „ყრა, ცემა“ ზმნისა). კანონზომიერება ხმაბაძვით და არახმაბაძვით ზმნათა მახვილისა აქ რელიეფურადაა წარმოჩენილი.

ნიშნად მივიჩნევთ -იზე, -აზე, -ოზე, -ეზე...ს (რაც არაა სწორი), გამოვა, რომ მახვილი ეცემა დაბოლოების პირველ ხმოვანს, თუ ის არაა ი (ოღონდ, უხმოვნო ფუძეებში მახვილიანი სწორედ ეს ი იქნება) და მისთ.

(† ცხადია, ივლისხმება ხმოვნის მქონე ფუძის გაორკეცება, შდრ. ფუძის არასრული (უხმოვნო) გაორკეცება ყირა-ყ-იზე „ჭრიალი“. ამგვარ ზმნებს მახვილი საერთო წესის თანახმად მოუღობი.

† ბოლოზომიერანი ორმარცვლიანი ფუძის გაორკეცებისას პირველი ნაწილი ჰკარგავს ბოლო თანხმოვანს.

2. ზმნის ფუძეზე განგრძობითის ან¹უ მანარმოებელის დართვა მახვილის ადგილის ცვლას არ იწვევს: ვართ-იზე „მივარდნა“, ვართ-ან-იზე „ჩხუბი“, ველ'-იზე „ლიმილი“: ელ'-ან-იზე „დაცინვა“.

3. ნასახელორი (ლ' სუფიქსით ნაწარმოები) ზმნები მახვილს ინარჩუნებენ იმავე მარცვალზე, რომელზედაც სათანადო სახელს აქვს მახვილი: ჭეჭრე „შავი“: ჭეჭრელ'-იზე „გაშავება“, შალმალ „ამხანაგი“: შალმალელ'-იზე „შეამხანაგება“...

4. კაუზატივის ფორმაში, რომელიც იწარმოება ძირითადი ზმნის ინფინტივზე შაბრზე „კეთება“ ზმნის დართვით, მახვილის ადგილი უცვლელია: ყრტიზე შაბრზე „გაჭრევენება“, ყრტიზე შაბრზე „გააჭრევენა“... თუ ძირითადი და მეწველი ზმნა შერწყმულია, — მახვილი შერჩება ძირითად ზმნას (ყრტიზაზზე), მაგრამ დასასვებია მისი გადასვლა მეწველ ზმნაზედაც (ყრტიზაზზე). ამის-და მიხედვით პარადიგმაში გვევლება პარალელური ფორმები (ნამყ. ყრტიზაზზენა || ყრტიზაზზენა და ა. შ.) ხუნძახურისათვის უფრო ჩვეულებრივია პირველი მათგანი (ყრტიზაზზენა) ¹.

5. ჩვენთვის ცნობილია სულ რამდენიმე ზმნა, რომელთაც ერთმარცვლიანი ფუძეები აქვთ, მაგრამ მახვილი დაბოლოებაზე (და არა ფუძეზე) მოუღივთ: შაბრზე „კეთება“, ბილ'-რინე „თან წასვლა“, კურშა-რზე „მარდვა“ ². ამ ზმნათა უღვლების დროს მახვილი მეორე მარცვალზე რჩება.

6. პარადიგმაში მახვილის ადგილი უცვლელია, მაგრამ მოდალობისა და ემოციის გამონახტველი ზოგი დაბოლოების დართვა მახვილის გადაწვეას იწვევს (უარყოფითსა და კითხვით ფორმებში, უკუთქმით ბრძანებითში...).

ა) აწყყოსა და მყოფადი დროის უარყოფის -რო ნიშნის დართვისას (როგორც დროულ, ისე მიმდევრულ ფორმებში) მახვილი რო-ს წინ გადმოინაცვლებს: ყრტულა „ჭრის“, ყრტილა „გაჭრის“, მაგრამ ყრტულარო „არ ჭრის“, ყრტილარო „არ გაჭრის“, ყრტულარებ „არ მჭრელი“, ყრტილარებ „არ გასაჭრელი“... ამის შედეგად ერთმარცვლიან ფუძეებში ა-ს წინ საშუალო აწეულობის ხმოვნები ვიწროვდება $o > u$, $e > i$: თილარო > თულარო „არ ტოვებს“, თილარო > თილარო „არ დატოვებს“ და მისთ. ([4], გვ. 3, [3], გვ. 138).

ბ) უკუთქმით ბრძანებითში მახვილიანია ბოლოკიდური -ე (ყოტ-უ-გე! „არ გაჭრა!“ შაბრ-გე! „არ ქნა!“ წია-გე „არ მოსწიო!“). -ე უმახვილო რომ ყოფილიყო, ი-ში გადავიდოდა ³. (შდრ. ყრტე! > ყრტი!. „გაჭერ!“).

გ) კითხვითი ნაწილაკი -იშე მახვილიანია: ყოტან-იშე? „გაჭრა?“ ყრტულარ-იშე? „არ ჭრის?“.

(¹ პ. უსლარის მასალებში [2] ჩვეულებრივია მეორე ვარიანტი (მახვილით შაბრზე ზმნაზე).

(² ეს ზმნები მახვილს ისე იღებენ, თითქოს ხმოვანფუძიანები იყვნენ. იქნებ ისტორიულად ასეც ყოფილიყო?

(³ მახვილის მოწვევით ყველა პოზიციაში (და არა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც ხშირად მიღებულია ხოლცეს) ხუნძახურში საშუალო აწეულობის ხმოვნები ვიწროვდებიან (ბუტო > ბუტუ „არის“, რტხელ > რტხელ „სიხარული“, შაბრეო > შაბრეუ „გაუკეთებლად“). დანერგვით სხვა დროს.

დ) მტკიცებითი ნაწილაკი -ინ მახვილიანია; **ყოტან-ინ** „გაჭრა“, **ყოტიზ-ინ** „გავჭრათ“, **ბუგ-ინ-ან** „არის-ო“.

ე) კითხვითი ნაწილაკი -ღა მახვილიანია: **ყოტანა-ღა** „ნეტავ თუ გაჭრა“ და მისთ.

ვ) ე. წ. თურმეობითის **ილა** მახვილიანია: **ყოტან-რლა** „გაჭრილა“ (1). ყველა ამ შემთხვევაში (პუნქტი ა, ბ, გ, დ, ე, ვ) საქმე უნდა გვქონდეს არა მახვილის გადმოტანასთან დაბოლოებაზე, არამედ ამ ნაწილაკთა სპეციფიკური ინტონაციური შეფერილობის გამო მახვილის ნამდვილი ადგილის მიჩქმალვასთან ([3], გვ. 25). გარკვეული რყევა ამ მხრივ დასტურდება: მახვილი თითქოს ისმის ძველ („კანონზომიერ“) ადგილზედაც, მაგრამ ძალზე მკრთალად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვილა 1.3.1966)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Т. Е. ГУДАВА

УДАРЕНИЕ В ГЛАГОЛЕ АВАРСКОГО ЯЗЫКА

Р е з ю м е

В глаголе, как и в любом слове аварского языка, ударение² может падать на первый или второй слог (с начала). При спряжении место ударения постоянное³ ([1], стр. 114; [2], стр. 14).

Правило о месте ударения в аварских глаголах можно сформулировать так: от формы инфинитива отбросить окончание -ize (-ine), а если такого нет, то -ze (-ne), и поставить ударение на последний слог оставшейся части глагола (4: qóŋ-ize „резать“, baŋár-ize „собирать“, bíc-ine „рассказывать“, çaóŋ-ze „мерзнуть“, qáŋá-ze „приготовить“, l'á-ze „знать“, té-ze „оставлять“, ŋaŋçé-ze „прыгать“... Если в оставшейся части нет гласного,—ударение ставится на гласный i окончания инфинитива: kv-íne „кушать“, sv-íze „толкать“.

Исключения: hab-íze „делать“, bil'-íne „идти“, ŋuršə-íze „мочиться“.

(1) პ. უსლარის მასალებში [1] მახვილიანია -შან „მღე“ (მაბიზე -შან „გაკეთებამღე“), ხუნძურში კი არა.

(2) В аварском языке оно слабое, динамическое, подвижное (в пределах первых двух слогов).

(3) Изменение в парадигме подударного гласного не влияет на место ударения: heqéze „пить“, heqóla (наст.), heqàla (прош.), срв. qóŋize „резать“, qóŋula (наст.), qóŋala (прош.)...

(4) Аналогичную формулировку можно получить исходя из масдара, деепричастия прош. времени.

Определенные группы глаголов имеют свои закономерности ударения.

Звукоподражательные глаголы (с удвоенной основой) принимают ударение на первый слог: ḡyḡdize „греть“, ḡhnhoidize „ржать“, bábaze „заикаться“ (срв. незвукоподражательный babáze „ударять часто“ с удвоением основы от ba-ze „сыпать“)⁽¹⁾.

Каузативы, составленные из инфинитива основного глагола плюс формы от habize „делать“, могут иметь ударение как в первой, так и во второй части (qóḡizabize || qóḡizabize „заставить резать“, в хунзахской речи более привычна первая форма).

Отыменные глаголы, образованные посредством I⁶, сохраняют ударение исходного слова: ḡewér- „черный“—ḡewér'ize „чернеть“, hálmaḡ „товарищ“—hálmaḡ'ize „стать товарищем“...

Присоединение к основе суффикса учащательности -a[n]q не вызывает переноса ударения (vél'ize „смеяться“ — vélaq-ize „насмехаться“).

Некоторые „модальные“ частицы и суффиксы притягивают к себе ударение, напр. отрицательные формы наст. и буд. времен: qḡiláro „не режет“, qḡiláro „не порежет“ (срв. также причастия qḡiláreb, qḡiláreb)⁽²⁾, запретительное наклонение (qḡugél' „не режь!“)⁽³⁾, вопросительная частица -iḡa (qḡan-iḡa? „отрезал?“), вопросительно-желательная частица -daj (qḡana-dáj „отрезал ли?“), утвердительная частица -in (qḡan-in „отрезал“), суффикс „заглазного времени“ -ila (qḡan-ila „оказывается отрезал“). Во всех этих случаях на первый план выдвигается интонация, затушевавшая исконное ударение.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ш. И. Микаилов. Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов. Махачкала, 1958.
2. П. К. Услар. Аварский язык. Тифлис, 1889.
3. არნ. ჩოქოვაძე, ილ. ცერცვაძე. ხუნძური ენა, თბილისი, 1962.
4. ტ. გუღავა. ხუნძური ორთოგრაფიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. გზ. „ბაშარაბ ბაიარაჯ“, 17 სექტემბერი, 1957 (ქ. შაჰაჩილა, ხუნძურ ენაზე).

⁽¹⁾ Ударенные основы незвукоподражательных глаголов принимают ударение по общему правилу: bekék-ize „ломать“ (о многом), bekébeke-ize (или с добавочным ударением bekébeke'-ize) „бежать (туда-сюда)“.

⁽²⁾ В односложных основах e>i, o>u (teláro>tiláro „не оставит“, toláro>tuláro „не оставляет“)..

⁽³⁾ Подударное e сохраняется. Гласные среднего подъема в хунзахском диалекте в послеударной позиции в любом слогe реализуются как узкие (e>i, o>u).



ალ. ზონინაძე

კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის აღზრდამდებარეობის
 საკითხისათვის ძვ. წ. IV—III საუკუნეებში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა 15.2.1966)

ელინურ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული მითია თქმულება არგონავტებზე. ამ თქმულებაში გადმოცემული ამბები ზღაპრულ ბურუსშია გახვეული; ზოგიერთი ცნობა კი ისტორიულ სინამდვილესაც უნდა შეესაბამებოდეს. აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „ექვი არ არის, რომ თქმულება არგონავტების შესახებ, საერთოდ, ... მრავალ სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ფენითაა შემოგარსული. ამ მრავალკეც გარეშრეებს ქვეშ ისტორიული ჭეშმარიტების მარცვლი მანც შეიძლება აღმოვაჩინოთ [1].

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ეს თქმულება „ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზე არის აშენებული, მხოლოდ აქ ჭეშმარიტება შეფერადებულ-გაზღაპრებულია“ [2].

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ თქმულებაში ისტორიული სინამდვილეც არის სახული. კერძოდ, საინტერესოა, რომ თქმულებაში საუბარია კოლხეთში დიდი, ძლიერი სამეფოს, ბრწყინვალე სამეფო კარის, მონებისა და სხვათა არსებობის შესახებ. არგონავტების თქმულებაში კოლხეთის სამეფოს აღწერისას ნაწილობრივ ალბათ არეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალეობა“ [3]. ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული გ. მელიქიშვილს თავის შრომებში [4], გვ. 186).

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მთარგმნელი და მისი ქართულად გამომცემელი აკ. ურუშაძე აღნიშნავს, რომ არგონავტების თქმულებაში ჩვენ უნდა დავინახოთ რომელიღაც ისტორიული სინამდვილე, სახელდობრ, ის საწარმოო ურთიერთობა, რომელიც კოლხეთსა და ელინურ მსოფლიოს აკავშირებდა ([5], გვ. 15).

ზოგ მკვლევარს თქმულება არგონავტების შესახებ დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის მახლობელ ხანაში მიაჩნია წარმოშობილად, მაუხედავად ქრონოლოგიური ჩარჩოს მეტისმეტად პირობითობისა, „არგონავტიკის ჩვენამდე მოღწეულ შედარებით გვიან ვერსიებშიც კი სწორედ ამ ხანის კოლხეთის ყოფა უნდა იყოს ასახული“ [7]. ასეთი მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს, რადგან „ჩვენ განკარგულებაში არსებული მასალა ცხადყოფს, რომ თქმულება არგონავტებზე მოაკალფენოვან ძეგლს წარმოადგენს და მასში სულ სხვადასხვა დროის ამბებია გადმოცემული. აქ კარგად ჩანს, თუ როგორ შექმნდა თავისებურებანი თქმულების დამუშავებაში ამა თუ იმ ეპოქას და რო-

გორ უქვემდებარებდნენ საკუთარ მსოფლმხედველობას პოეტები, ისტორიკოსები და მითოგრაფოსები ტრადიციულ მითოლოგიურ სახეებს“ ([8], გვ. 14). ასეთივე შეხედულებისა იყო და ახლაც არიან მკვლევარები არგონავტების თქმულების მრავალფენიანობის შესახებ [1]. „Это сказание является многослойным памятником. В нем нашли отражение сказания разных времен. Однако, Колхида, в качестве места действия, является столь органической частью сказания, что она могла войти в него вместе с поздним потоком, а должна была фигурировать в нем уже с момента возникновения основного ядра данного сказания, которое относится к очень раннему времени“ ([4] გვ. 19). ასე, რომ თქმულება ერთ გარკვეულ დროს კი არ არის ჩამოყალიბებული, არამედ მასში „საბოლოო დაშორებულ დროთა დანაშრეგებია წარმოდგენილი, მაგრამ ამ თქმულების ყველა ფენისა და ვერსიის წამყვანი მოტივი ყოველთვის იყო აიია — კოლხეთი“ ([8], გვ. 7).

თქმულებას „არგონავტების“ კოლხეთში ლაშქრობის შესახებ, ანტიკურ ხანის ავტორთა უმრავლესობა ისტორიულ ფაქტად მიიჩნევდა (ჰეროდოტე, სტრაბონი, აპიანე, არიანე, ხარაქს პერგამონელი და სხვ.). ყველაზე უფრო თავგამოდებული დამცველი არგონავტთა ლაშქრობის ისტორიულობისა გეოგრაფი სტრაბონი იყო. „როგორც ყველანი ამბობენ (არგონავტების — ა. ბ.), ფაზისში მგზავრობა სარწმუნოა თავიდანვე და ის პელიასმა მოაწყო (სარწმუნოა აგრეთვე) უკან დაბრუნება და ზოგი კუნძულის დაპყრობა, ვფიცავ ზევსს, რომ (ნამდვილად იყო) ეს შორეული მოგზაურობა... აიას ხომ მიუთითებენ ქალაქ ფაზისთან, ხოლო აეტი სარწმუნოა, რომ კოლხეთში მეფობდა; იქაუბრებში ეს სახელი (აეტესი) ადგილობრივია“ [9].

როგორც აღნიშნული იყო არგონავტების თქმულების წამყვანი მოტივი ყოველთვის აიია — კოლხეთი იყო. აიია ზოგჯერ კოლხეთის დედაქალაქად გვევლინება. ამდენად მნიშვნელოვანია საკითხი აიია ქალაქის, თუ გეოგრაფიული ადგილის, ქვეყნის სახელია (?).

თ. ყაუხჩიშვილს „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ“, შესავალში აღნიშნული აქვს — „ჩემი გაგებით „აია“ და „კოლხიდა“ სინონიმებია; სხვა მთარგმნელების გაგებით აია არის კოლხიდაში, კოლხიდის ქალაქია. ის კოლხებისაა. ვფიქრობ ჩემი გაგება უფრო შეეფერება სინამდვილეს, ერთი — ფრაზის გრამატიკული წყობის მიხედვით და მეორე — სხვა ადგილების მომკვლელებით“ [10].

ფლავიუს არიანეს — მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო — თარგმანის კომენტარებში აია შემდგენიარადაა განმარტებული: „არგონავტების მითის პირველი სახე უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელი „კოლხიდა“ არ არსებობდა და ამ მხარეს, რაღაც სხვა ერქვა (შეიძლება გაია, აია — მიწა, ქვეყანა) Herod. I, 2; VII, 193, 197; კოლხეთი აია, გაია. Strabo, I, 45. ფაზისთან არის ქალაქი აია. ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონის შემდგენელი პაპე წერს: *Alt-altmythischer Name für des Land Kolchis*. როგორც ირკვევა, პაპეს ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს: „აია“ კოლხეთის ქალაქის სახელი კი არაა, არამედ კოლხეთის უძველესი სახელია. ამას წერს აპოლონიოს



როდოსელი 11,401; ქუთაისი, ქალაქი აიასი. *Aix* კოლხიდის უძველესი სახელი—გაია“ [11]. პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ აია კოლხეთის ძველი სახელია, ხოლო აიეტე—ს ამ ქვეყნის მფლობელს უნდა ნიშნავდეს. „აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ 11 წიგნის 1267-ე ტაბის *Κυταίων τε πόλιν Αἴης* (*Κυταίων τε πόλιν Αἴης*) — „აიას ქალაქი კუთაიისი“ თარგმნილია როგორც *Китаидский город Эя*, რაც სწორი არ არის (სწორი იქნებოდა *Китаис город Эя*).

არაზუსტი თარგმანით დაშვებულმა შეცდომამ სამეცნიერო ლიტერატურაშიც მოიცილა ფეხი; ბერძნული ტექსტის ჩვენებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს აიას გეოგრაფიული ცნების გარკვევისათვის; სხვა წყაროებიდანაც მტკიცდება, რომ აია მხარეს გულისხმობს და არა ქალაქს! ეგი კოლხეთის უძველესი სახელი ჩანს“ ([8], გვ. 6).

როგორც ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან ჩანს, აია კოლხეთის სინონიმად უნდა იქნეს მიჩნეული, ე. ი. ის ქალაქის სახელი კი არა, ქვეყნის სახელია, რომელიც მოგვიანო ხანაში მივიწყებდას მიეცა და ქალაქის სახელად მოგვევლინა. სანიტერესთა იმ ქალაქის ადგილმდებარეობის ძიება, რომელიც არგონავტიკის ავტორს, აპოლონიოს როდოსელს, კოლხეთის დედაქალაქად აქვს მიჩნეულა და სადაც არგონავტებმა კოლხების მრისხანე მბრძანებელი აიეტი, მზის შვილი იხილეს. ამ ქალაქის, ე. ი. კოლხეთის სამეფოს ცენტრის, დედაქალაქის სახელი ზომ სახელწოდება აია-ს ქვეშ ივარება. ჩვენ ინტერესს ამჯერად არ წარმოადგენს ქალაქის სახელის ძიება, ამ შემთხვევაში ჩვენ იმ ქალაქის მდებარეობის ლოკალიზება გვაინტერესებს, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი, მისი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი უნდა ყოფილიყო.

აღძრული საკითხის გასარკვევად აპოლონიოს როდოსელის მიერ მოწოდებული ცნობები გამოგვადგება. იგი ელინისტური ანუ ალექსანდრიული ხანის პოეტია და ძვ. წ. III ს. მოღვაწეობდა. მართალია, მან თქმულმა არგონავტებზე გალექსა, რომელშიც უხვდაა მოცემული ზღაპრული ამბები, მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, მასში ისტორიული სინამდვილის დაჭერაც შეიძლება; მით უმეტეს ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს გეოგრაფიული მდებარეობის აღწერა. რადგან „გადარჩენილი მასალა საყურადღებოა არა მარტო არგონავტთა თქმულების მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით, არამედ, და განსაკუთრებით, იმ მხრივ, რომ დრამატურგია თქმულების დრამატული ანარქიისათვის რეალისტური-ისტორიული და გეოგრაფიული ფონის შექმნას ცდილობდა“ ([8] გვ. 33). ამდენად გამოირიცხული არ უნდა იყოს, რომ სხვა უანრის ავტორსაც თავის თხზულებაში პერსონაჟთა მოქმედება რეალურ-გეოგრაფიულ გარემოში გაეშალა.

არგონავტიკის ავტორის — აპოლონიოს როდოსელისათვის — ცნობილი უნდა ყოფილიყო მისივე დროის კოლხეთის სამეფო, მისი დედაქალაქი და მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ქალაქის ტოპოგრაფია და აღწერილობა თავისი ნაუბობითა და გალავნით, კოშკებითა და ვენახის ხეივანებით. როდესაც ავტორმა არგონავტები კოლხეთში და განსაკუთრებით მის დედაქალაქში მიიყვანა, ამ ქვეყნის და რეალურად არსებული ქალაქის აღწერილობა უნდა მოეცა. აი, როგორ აღწერს ავტორი არგონავტების მსვლელობას მას შემდეგ, როცა ისინი ზღვი-

დან მდ. ფასის აჰყვენ. „მოლაშქრეებმა სასწრაფოდ შეხვიეს იალქნები, ანძა დაუშვეს, ... შემდეგ ხოფები მოუსვეს და მყისვე მდინარის ფართო კალაპოტში შეცურდნენ, ხომალდი მძლავრად მიაპობდა ფასისის მღელვარე ტალღებს. არგონავტებს ხელმარჯვნივ ეკავათ მალალი კავკასიონი და მას ქალაქი კუტიისი, მარცხნივ გადაშლილიყო არესის ველი და ამ ღმერთის სახელზე შეწირული წმინდა ჭალაკი“ ([5], გვ. 109).

აღნიშნულ ადგილს ზოგიერთი ავტორი სხვაგვარადაც თარგმნის ([6], 137). ნოლაშქრეებმა (არგონავტებმა—ა. ბ.) მიაღწიეს კოლხეთის დედაქალაქამდე და მდინარე ფასისის ლერწმნარ ჭაობში შიანავეს ხომალდი, „...შემდეგ ისინი ხომალდიდან გადმოვიდნენ. „ჭაობი და ლერწმნარი გადალახეს და ხმელეთზე ავიდნენ. შემდეგ ველზე მდებარე ბორცვზე შედგეს ფეხი. ...აქ მრავლად იყო აღმოცენებული ტირიფი და ძეწნა“ ([5], გვ. 115—116; [6], გვ. 149).

როგორც აღწერილობიდან ჩანს, არგონავტიკის ავტორს კარგად სცოდნია ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა და ადგილის ტოპოგრაფია. ჩანს, რომ მდ. ფაზისიდან ქალაქამდე დიდი მანძილი არ უნდა ყოფილიყო, ქალაქი გაშენებულია ბორცვებზე, ხოლო მდინარესა და ბორცვებს შორის ჭაობიანი და ლერწმნარი ადგილი ყოფილა. ბუნებრივად იბადება კითხვა—სად უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი (?). ჩვენი ვარაუდით იგი დღევანდელი ვანის მიდამოებშია საძიებელი.

ნ. ხოშტარიას აღწერილობის მიხედვით, „მთელი სოფელი (ვანი—ა. ბ.), პატარა ბორცვ-გორაკებს ფერდობებზეა შეფენილი, გამონაკლისს წარმოადგენს მარტო სადმინისტრაციო ცენტრი, რომელიც ვაკე ადგილზეა გაშენებული. „...მდინარე რიონის კალაპოტი სოფელს დაცილებულია დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილით. მისი ჭალები მელიორირებულია, მათ იყენებენ სათესად. ...ამ გორაკს (ახვლედიანთ უბანი) სიმაღლე აქვს 200 მეტრამდე. იგი მდ. რიონის კალაპოტს დაშორებულია დაახლოებით 1,5 კმ-ით“ [12].

როგორც აღწერილობიდანაც ჩანს და როგორც საერთოდ ცნობილია, დღევანდელი ვანის მიდამოები მართლაც ბორცვებს წარმოადგენს და ესოდენ მდიდარია ადრეანტიკური და მომდევნო ხანის არქეოლოგიური ძეგლებით. სავარაუდოა, რომ ვანის ადგილის ტოპოგრაფიის დამთხვევა არგონავტიკაში მოცემული კოლხეთის დედაქალაქის ადგილის ტოპოგრაფიაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს და არგონავტიკის ავტორს, აპოლონიოს როდოსელს, სწორედ ეს ადგილი უნდა ჰქონოდა მხედველობაში. ეს რომ ასეა, ამას სხვა მონაცემებიც უჭერენ მხარს. არგონავტიკის ავტორს მოცემული აქვს თვით ქალაქის აღწერილობა და მისი ტოპოგრაფია. „ისინი (არგონავტები—ა. ბ.) გააოცა მეფის სასახლის გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა და სვეტებმა, რომლებიც მწყრივზე იყვნენ აღმართულნი კედლების გარშემო. სასახლის თავზე, სპილენძის ქონგურებზე, ქვის კოშკი იდგა... მათ (არგონავტებმა — ა. ბ.) გადააბიჯეს ფეხი სასახლის ჭიშკარის ზღურბლს, რომელთანაც წაღლა აღმართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა. ერთი რძის შადრევანი იყო, მეორე ღვინისა, მესამედან სურნელოვანი ზეთი მორაკრაკებდა, მეოთხე წყარო კი ამოდარული ლოდიდან წყალს მოაქუხებდა“ ([5], გვ. 116; [6], გვ. 149—150).

თუ ქალაქის ავტორისეულ აღწერილობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ „სოფელ ქვედა ვანის გორაზე, როგორც შემთხვევითმა აღმოჩენებმა და არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენეს, ცხოვრობდა საზოგადოების მაღალი ფენა და მმართველი წრე. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ახვლედიანთ გორის მწვერვალზე და ნაწილობრივ მის ფერდობებზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნაგებობების, ციხესიმაგრის კედლების, საფლავების ნაშთები და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენები.

აღნიშნული ძეგლები ძირითადად ძვ. წ. VI—I საუკუნეებისაა“ [13]. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დამთხვა არგონავტიკაში დაცული ცნობა და არქეოლოგიური გათხრებისა და შემთხვევით აღმოჩენილი მასალების ანალიზზე გამოტანილი დასკვნა.

ანტიკური ხანისათვის ვანის მიდამოებში ქალაქური ტიპის დასახლებას ვარაუდობს გ. მელიქიშვილი. „აქ ჩვენ წინაშეა თლილი ქვით ნაგები, კრამიტით დახურული ქალაქური შენობებისა და მტკიცედ ამოყვანილი ზღუდის ნაშთები. მსგავსი ბაგინეთის შიდა ცახის ნაშთებისა“ ([4], გვ. 114).

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ნ. ხოშტარია ახლახან გამოცემულ წრომაში აღნიშნავს: „Известно, по существующей традиции, основанной, в частности, на толковании античных авторов, центр Колхиды античного времени, находился предположительно где-то в районе города Кутаиси. В связи с накопившимися по Вани археологическими материалами вопрос этот нуждается в пересмотре. Вани в течение долгого времени представлял собой, по-видимому, центр большой области Западной Грузии [14].

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღევანდელი ვანის მიდამოებში, საქმე გვაქვს კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრთან, ე. ი. მის დედაქალაქთან, რომელიც არგონავტების თქმულების მიხედვით აი ა ან კ უ ტ ა ი ა ა და სადაც ზის კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა სახელი ეწოდებოდა იმ დროს დღევანდელ ვანის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქს, მაგრამ, რომ ის სწორედ კოლხების დედაქალაქი იყო, ეს ნამდვილად სავარაუდოა, რადგან „Помещение политического центра древней (мифической) Колхиды на р. Риони является, несомненно, продуктом позднего осмысления, когда этот центр на самом деле переместился сюда“ ([4], გვ. 218). ასე, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი ვანის მიდამოებშია საგულგებელი, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა და ქალაქის ტოპოგრაფიული აღწერილობა აპოლონიოს როდოსელს რეალური სინამდვილიდან აქვს აღებული.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდგომი გაფართოება ვანის მიდამოებში, ნათელს მოფენს ამ ერთ-ერთ ფრიალ მნიშვნელოვან საკითხს მომავალში და მას ალბათ წამოყენებული მოსაზრების სასარგებლოდ გადაჭრის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

А. В. БОХОЧАДЗЕ

კ. ВОПРОСУ О МЕСТОНАХОЖДЕНИИ СТОЛИЦЫ КОЛХСКОГО ЦАРСТВА В IV—III ВВ. ДО Н. Э.

Резюме

Одним из самых распространенных мифов в эллинском мире является сказание об аргонавтах. События, рассказанные в этом мифе, частично носят сказочный характер и относятся не к какому-нибудь определенному времени, а имеют наслоения различных отдаленных друг от друга эпох, хотя под этими наслоениями иногда можно заметить зерно исторической истины.

В данном случае мы имеем в виду сведения Аполлония Родосского (III в. до н. э.), имеющиеся в «Аргонавтике», о местонахождении столицы колхского царства.

В своем произведении этот автор должен был бы реально описать современную ему столицу Колхиды. Действительно, если подойти к этому вопросу с точки зрения самого автора, указанного им местонахождения, а также описания самой столицы и сопоставить, все это с нынешним местонахождением Вани и с результатами последних археологических находок, можно предположить, что политико-административным центром Колхиды в IV—III вв. до н. э. был именно нынешний Вани.

დაამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველი საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. ენიშის მოამბე, ტ. V—VI, თბილისი, 1940, გვ. 672.
2. აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943, გვ. 41.
3. ნ. ბერძენიშვილი და სხვ. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 32—33.
4. გ. მელიქიშვილი. ურარტუ, თბილისი, 1951, გვ. 143. Г. Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959.
5. აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, თბილისი, 1948.
6. Аполлоний Родосский. Аргонавтика, перевод, введение и примечания Г. Церетели. Тбилиси, 1954.
7. თ. შიქელაძე. ქართველ ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საზ. მეცნიერებათა განყ. მოამბე, ტ. 2, თბილისი, 1960, გვ. 172.
8. აკ. ურუშაძე. ჭველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
9. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 70; 2, 39.
10. თ. ყაუხჩიშვილი. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
11. ფ. ავიუხს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961.
12. ნ. ხოშტარია. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წ. მიომზიხიველი, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 299 — 300.
13. ა. აფაქიძე, ნ. ზ. ბერძენიშვილი და სხვ. საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959, გვ. 234.
14. Н. Хоштария. Археологические раскопки в Вани. Кавказистур-აღმოსავლური კრებულო, II, თბილისი, 1962, გვ. 75.



ისტორია

8. ცინცაძე

საქართველო-ადიღეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა 30.3.1966)

ისტორიული წყაროები ადიღესა და საქართველოს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შესახებ მეტად მცირე და უმნიშვნელო ცნობებს შეიცავენ, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებით და ზოგიერთი არაპირდაპირ მითითებათა გათვალისწინებით შესაძლებელია ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ ის ძირითადი მოვლენები, რითაც ადიღესა და საქართველოს ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობანი ხასიათდებოდა XVI—XVIII საუკუნეების მანძილზე.

შუაფეოდალურ ხანაში, როდესაც საქართველო ერთიან და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ადიღეელი ტომები შედარებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ ეკონომიურ ყოფასთან და კულტურასთან. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა, ქვეყნის გარე-ეკონომიური ურთიერთობანი საგრძნობლად შესუსტდა; სამეფო-სამთავროებისაგან შედგენილი საქართველო ვეღარ ატარებდა საერთო ქართულ ეკონომიურ პოლიტიკას და მეზობლებთან საქმიანი კავშირები ძირითადად ცალკეულ სამეფო-სათავადოებისა და მომიჯნავე ხალხების ურთიერთობაში გამოიხატებოდა.

როგორც ცნობილია, ადიღეელ ტომებს საქართველო უკავშირდებოდა ზღვის სანაპირო ზოლით, ხოლო მეორე მხრივ წებელდის გავლით, რომელიც საკმაოდ ძნელი, მაგრამ მარჯვე გადასასვლელით პირდაპირ მდ. ყუბანის სათავეებში შედიოდა. ეს გზა შუაფეოდალურ ხანაში ერთიანი საქართველოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო შემდგომში თითქმის XVII საუკუნემდე საბედიანოს ხელში იყო, XVII საუკუნის შემდეგ კი აფხაზი მთავრების კონტროლქვეშ გადავიდა.

გვიანფეოდალურ ხანაში ადიღელთა ძირითად სავაჭრო საქმიანობას ტყვეთა ყიდვა წარმოადგენდა და სავარეო ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნილება ჩერქეზ მონებზე იყო. ქართული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფე სიმონ I (1558—1600) ირანის შაჰის კარზე გასავზავნ მონებს ჯიქეთ-ჩერქეზეთიდანაც ყიდულობდა ([1], გვ. 56).

გარდა მონებისა, ადიღეელები ცნობილნი იყვნენ ცხენებით, აგრეთვე ოქრომკედლი ნაქსოვით, ოქრომჭედლობით და სხვა. ფაქტია, რომ ამ საქონლის ერთ-ერთი შემსყიდველი ქვეყანა საქართველო იყო.

ავსტრიელი ელჩის ვარკოჩის სიტყვით, XVI საუკუნეში მოსკოვში სავაჭროდ ჩაჰქონდათ საქონელი ყაბარდოელებს, ქართველებს, ჩერქეზებს, ციმბირელებსა და სხვ. ([2], გვ. 70).

რა თქმა უნდა, ის ვაჭრები, რომლებიც საქართველოდან მოსკოვამდე აღწევდნენ, ჩრდ. კავკასიის ხალხებთან და მათ შორის ადიღელებთან ვაჭრობის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდნენ, მით უმეტეს, რომ ყაბარდოს ერთ-ერთი თავადის ატაყუკინის 1732 წ. დაკითხვიდან ჩანს, რომ ადიღეელთა მეზობელ ყაბარდოელებს ქართველებთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ. საინტერესოა ბურნაშოვის ერთი ცნობაც, სადაც იგი წერს, რომ მათ (ქართველებს) დიდი ვაჭრობა აქვთ გაჩაღებული მეზობელ მთიელებთან და სპარსელებთან სპილენძის ჭურჭლეულით, ხამი ტილოთი, მახვილებით, ბამბიულოთი, ცხენის მოსართავებით, ხმლებით, ხანჯალ-სატევერებით, რკინის წვრილ-წვრილი ნივთებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქუდებითა და სხვა, რადგან ამ საქონლით თითქმის ყველა კავკასიელი და მათი მეზობელი ხალხები სარგებლობენ ([3], გვ. 6).

ადიღე — ჩერქეზები უძველესი დროიდანვე მეზობლობდნენ აფხაზეთ, — დასავლეთ საქართველოს; მათ ხანგრძლივი კონტაქტების საფუძველზე ბევრა რამ გაუჩნდათ საერთო როგორც მატერიალურ, ასევე კულტურულ სფეროშიც. ვახუშტის მიხედვით, ჯიქეთი არის „ყოვლითურთ (მსგავსი) აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესითა და ქცევითაცა. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საქურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა უამად იბერნიცა ხმარობენ“ ([4], გვ. 172).

მაგრამ საქართველოსა და ადიღელ ტომებს შორის არა მარტო „სამოსელთა, იარაღთა და ზნეთა“ სიახლოვე შეიმჩნეოდა. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მათ სამეურნეო გამოცდილებათა, ჩვევათა სიახლოვეზე და ურთიერთკავშირზეც. ასე, მაგ., ადიღელებში ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1957 წელს პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღოვანლობით, შაფსულეთში აღწერა და შეისწავლა სახენელის 2 ტიპი: ოთხმხრივი სახენელი (ფხააშ), რომელიც მიღებულია კავკასიური სამმხრივი სახენელის ცალკეული ელემენტების თანდათანობითი განვითარების შედეგად ([5], გვ. 191) და ფამფალაკიანი სახენელი, რომელსაც თითქმის ყველა კავკასიურ ენაზე ქართული წარმოშობის სახელი — გუთანა ეწოდება ([5], გვ. 191). ამ დიდ გუთანს შაფსულურად „ფხააბიჭუ“ ეწოდება, ხოლო მისი საყოველთაოდ გავრცელებული სახელი — გუთანა — შემონახულია ამ სახენელის მეტად დამახასიათებელ ნაწილში — ფამფალაკში. სახენელის ფამფალაკს შაფსულურად კუთან, კუთენ, კუტლამიშ ეწოდება.

ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადიღეელთა კულტურა თავისი საწყისებით, მართალია, მონოგამიური და თავისთავადია, მაგრამ იგი ამჟღავნებს ახლო ურთიერთობას, როგორც კავკასიურ კულტურასთან საერთოდ, ისე კერძოდ შავი ზღვის სამხ. დას. სანაპიროზე კოლხეთის კულტურასთან ([5], გვ. 191).



ახლო ურთიერთობა ქართულს, პირველ რიგში, დასავლურ ქართულსა და ადიღურ სამეურნეო ყოფაში, გარდა ზემოთ მოყვანილი სახენელი იარაღებისა, შეიმჩნევა მეურნეობის სხვა დარგებშიც, კერძოდ, ასეთი შეხვედრები დადასტურებულ იქნა ფეიქრობაშიც. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება ამ ხალხთა მიწათმოქმედების ისეთ უძველეს კულტურებს, როგორც სელი და კანაფია.

გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი ს აზრით, ადიღელთა ხალხურ ფეიქრობაში შეიმჩნევა როგორც თვითმოყვადი ნიშნები, ასევე ისეთი მონაცემები, რომლებიც ქართულ მასალასთან აახლოებენ, რაც მათ მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ([6], გვ. 368).

ბევრი რამ შეიმჩნევა საერთო მატყლის დამუშავებისა და შალის წარმოების ქართულ და ადიღურ წესებში. მაგ., მატყლის დამუშავებასთან დაკავშირებით შაფსულეებში მოწმდება შრომითი ურთიერთდახმარების ის საყურადღებო წესი „ხაპუ“, რომელიც ადმ. საქართველოს მთიელებში „საქმის საღამოს“ (ხევი) და „მჩიჩელის“ (ხევსურეთი) სახელწოდებითაა ცნობილი. ასევე საგულისხმოა კანაფის დამუშავების ქართულ-ადიღური წესების ზედმიწევნითი დამთხვევა, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართული კანაფი უეჭველ ნათესაობას ამჟღავნებს ადიღურ *klən* — (ჭეფ)-თან, მეგრულ „კივ“-თან და ლეკურ „ჭანაბთან“, რაც ამ კულტურის გენეზისის შესახებაც გვაწვდის გარკვეულ მასალას ([6], გვ. 370), რომ არაფერი ვთქვათ სამეურნეო ურთიერთობათა შედეგად ერთი საერთო წარმოშობის ტერმინის ჩამოყალიბებაზე.

არანაკლებ საინტერესო მასალები იქნა დაგროვილი ადიღე-საქართველოს სამეურნეო ურთიერთობათა შესახებ, სელთან დაკავშირებით.

გ. ჩაჩაშვილმა ყურადღება მიამჩვია ერთ მეტად საინტერესო მომენტს, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს ადიღელთა და ქართველთა ძველ სამეურნეო ურთიერთობებზე. კერძოდ, X საუკუნის არაბი ისტორიკოსი მასუდი წერდა ადიღელთა შესახებ, რომ ამ ქვეყანაში ამზადებენ სელის ქსოვილს, რომელსაც ეწოდება „ტალა“. ჩერქეზ-ადიღელებს დღეს ეს ტერმინი უკვე დავიწყებული აქვთ, ისევე როგორც თვით სელის ქსოვაც. მაგრამ არაბ ავტორთან დაცული ტერმინი „ტალა“ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულ ტერმინ ტილოსთან, რომელიც, საბას განმარტებით, „სელთა და კანაფთა ლარია“. ქართულ ტილოსთან ასევე ახლოა აფხაზური „ატალა“.

ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ადგილობრივად დამზადებულ შალის ქსოვილს „ტილოს“ ეწოდებენ. ხოლო მისგან დამზადებულ ტანსაცმელს — „ტალავარს“.

საქართველო — ადიღეს სამეურნეო ურთიერთობებზე მიუთითებს სხვა ფაქტებიც, კერძოდ: ტუაფსეს რაიონის სოფ. აგუიში ადიღელი მოხუცი ნათხოუ სიხაბკირეის გადმოცემით, შაფსულურად თოხს ეწოდება სვანა, ხოლო ნიჩაბს — ლასვანა [7]. როგორც ამ იარაღების სახელწოდებები მიუთითებენ, ისინი ადიღელებში სვანეთის გზით უნდა იყოს შესული. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ აღნიშნული იარაღების გარკვეულ ტიპთან გვაქვს საქმე. გარკვეულ ტიპს იმიტომ ვამბობთ, რომ შეუძლებელია თოხი და ბარი, რო-

გორც სამეურნეო იარაღი, უძველესი დროიდან არ სცოდნოდათ ადიღელოთ წინაპრებს. სინაბკერეის გადმოცემით, სვანა და ლასვანა ცულთან (მაითა) ერთად იხმარებოდა ახოს გატეხის დროს. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სოფ. ყილეის მცხოვრებ სოფლას ნიფსოუს გადმოცემით, თოხს ეწოდება „წვან“ ან „ჭვან“, რაც ტერმინ სვანთან საკმაო სიახლოვეს იჩენს.

ადიღე — საქართველოს ურთიერთობათა კვლევა-ძიებისას არანაკლებ საყურადღებოა სხვადასხვა ხალხურ წეს-ჩვეულებათა მსგავსების შემთხვევებიც. მაგ., მერეტუკოვის გამორკვევით, აბაქეხების საქორწილო წეს-ჩვეულებანი მრავალ პარალელს პოულობს აფხაზურ, მეგრულ, კახურ თუშ-ფშავ-ხევსურულ და საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ საქორწილო რიტუალთან ([8], გვ. 261—270).

ქართულ და ადიღეურ უძველეს თქმულებათა შინაარსობლივი კავშირი, მაუწყებელი უნდა იყოს იმისა, რომ ამ ორი ხალხის შორეული წინაპრები ნაზიარები იყვნენ ერთ მთლიან და ზოგად კულტურას და რომ ისინი ისტორიულად ერთიმეორეს მომიჯნავედ ვითარდებოდნენ.

სწორედ ასეთი ახლობლური კავშირების შედეგი ის უნდა იყოს, რომ ქართველურ ენებში დადასტურებულია ადიღეური ელემენტი, ხოლო საქართველოს ტოპონიმიაში არა ერთი ადიღეური ტოპონიმია ფიქსირებული.

საქართველოს ტოპონიმის ტიპური მორფოლოგიის განხილვისას ს. ჯანაშიამ უყრადღება მიაქცია დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებს ფსა-დაბოლოებით. მისი აზრით, ამ რიგის სახელებია: 1) სუფსა, 2) ლაშფსა, 3) ლაგუაფსთა, 4) ნიკოფსი და სხვა, რომლებიც ადიღეურ ენობრივ სამყაროს უკავშირდება ([9], გვ. 122). ს. ჯანაშიას ადიღეურ სამყაროდან მომდინარედ მიაჩნია, საქართველოში გავრცელებული ყვად-დაბოლოებიანი სახელებიც: 1) აგიდაყვა, 2) აპყვა, 3) ბოყვა (შდრ. ბობოყვას), 4) ბერეყვას ღელე გურიაში და სხვ.

აღნიშნულ ნაშრომში იგი განიხილავს რა კიდევ სხვა მრავალ მაგალითს, დაასკვნის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული (ადიღეური) ტოპონიმია უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევა ([9], გვ. 122).

არანაკლებ საინტერესოა სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. გარდა ამისა, თვით ადიღეურ ენაშიც საკმაოდ მრავლადაა შესული ქართული წარმოშობის ან უცხოური, მაგრამ ძველთაგანვე ქართულში ნახმარი ტერმინები.

ადიღეურში ცნობილია შემდეგი ქართული ან ქართლის ვზით შესული სიტყვები: 1. ოჯახ — ადიღეურში სახლის თავს ნიშნავს, საიდანაც კვამლი ამოდის; 2. თამათ-თამადა — სოფლის ან ოჯახის მეთაური; 3. ჭიგო-მიწას, 4. სამეურნეო იარაღს ჭქვია ბჭკალი-ბრჭყალი. ესაა მიწის საჩიჩქნი ჩეკი საბრჭყალავი (მეგრულად).

აქვე გვინდა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ ტერმინს — „ღვაფლეს“ ([7]), რაც ადიღეურად ნიშნავს მოყავისფრო მიწას და სპილენძს. საინტერესოა



მისი მორფოლოგიური კავშირი ქართულ „ღუღელფთან“, რომელიც საბა ორბელიანის სიტყვით „შეგროვებულ ნაკურჩხალს“ ნიშნავს ([10], გვ. 736).

სპეციალური კვლევა-ძიება ადიღეელთა ლექსიკურ ფონდში კიდევ მრავალ მასალას გამოავლენს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 30. 3. 1966)

ИСТОРИЯ

М. В. ЦИЦАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-АДЫГЕЙСКИХ ЭКОНОМИЧЕСКИХ И КУЛЬТУРНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

Резюме

Исторические источники, освещающие экономические и культурные взаимоотношения адыгейцев и грузин, чрезвычайно скудны. Однако, используя этнографический материал и некоторые косвенные данные, можно в общих чертах представить те основные моменты, которыми характеризовались экономические и культурные взаимоотношения адыгейцев и грузин в течение XVI—XVIII вв.

Этнографическая экспедиция в 1957 г. в Адыгею описала и изучила два типа плуга—четырёхстороннее пахотное орудие («пхааш»), полученное путем внутреннего усовершенствования отдельных элементов кавказского трехстороннего пахотного орудия, и передковое пахотное орудие, которое почти на всех кавказских языках носит грузинское название «гутани». Этот большой «гутани» по-шапсугски называется «пхаабэбу», а общераспространенный термин «гутани» сохранился в названии одной из основных частей плуга—в передке.

Тесные связи между этими народами наблюдаются и в других отраслях хозяйства. Прежде всего это касается таких древнейших земледельческих культур, как лен и конопля. Можно предполагать полную идентичность правил обработки конопли у адыгейцев и грузин. Грузинский термин «канапи» (конопля), несомненно, родствен адыгейскому «чеп», мегрельскому «кип» и лезгинскому «чанап», что дает определенный материал о генезисе этих культур, не говоря уже о том, что в результате хозяйственных связей создался общий, единый термин.

Согласно сведениям арабского историка X в. Масуди, адыгейцы называли льняную ткань «тала». Этот термин, так же как и пряже, сегодня забыт адыгейцами, однако проявляет определенную близость к грузинскому термину «тило» (полотно).

Много общего также в грузинском и адыгейском способах производства шерсти и шерстяных тканей.

Для взаимоотношений Адыгеи и Грузии не менее интересно и сходство обычаев и обрядов. Адыгейский свадебный обряд находит много параллелей в свадебном ритуале абхазцев, мегрельцев, кахетинцев, тушпшавхевсуров.

Доказано также наличие в грузинских языках элементов адыгейского языка, и в топонимике Грузии зафиксирован не один адыгейский топоним.

Указанные взаимоотношения грузин и адыгейцев говорят о том, что далекие предки этих народов были приобщены к общей культуре, что они исторически развивались в тесном общении друг с другом.

დავოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. Джанашвили. Известия грузинских летописей и источников о Сев. Кавказе и России. Тифлис, 1897.
2. Н. Варкоч. Описание путешествия в Москву посла римского императора Николая Варкоча. Чтение ОНДР, кн. 4, 1874.
3. Бурнашев. Картина Грузии, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное пребывающим при его высочестве царе карталинском и кахетинском Ираклии Теймуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе, 1786. Курск, 1793.
4. ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1941.
5. Г. С. Читая. Некоторые итоги экспедиционной работы 1957 г. Отдел этнографии Института истории АН ГССР. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XI, 1960.
6. გ. ჩაჩაშვილი. ქართული ადიღური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, თბილისი, 1963.
7. გ. ჯალაბაძე. ადიღეს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები (ადიღური). საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება, 1957.
8. М. Меретуков. Свадебные обряды абхазов. МСГ, XII—XIII, თბილისი, 1963.
9. ს. ჯანაშია. ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში. შრომები, III, თბილისი, 1959.
10. სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი, 1949.

მთ. რედ აქტორი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი რ. დვალი

Гл. редактор—академик Академии наук Грузинской ССР
Р. Р. Двали

ხელმოწერილია დასაბუებლად 26.1.1967; შუკვ. № 1779; ანაწყოების ზომა 7×11;
ქაღალდის ზომა 70×108; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 17,0;
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 17,0; უე 01208; ტირაჟი 1350

Подписано к печати 26.1.1967; зак. № 1779; размер набора 7×11; размер
бумаги 70×108; количество уч.-изд. листов 17,0; количество печатных
листов 17,0; УЭ 01208; тираж 1350

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15.
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси 60, ул. Кутузова 15.

მათემატიკა—МАТЕМАТИКА—MATHEMATICS

Ш. Е. Микеладзе (академик АН ГССР). Новый численный метод решения обыкновенных дифференциальных уравнений	289
*შ. მიქელაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი). ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის ახალი რიცხვითი მეთოდი	296
Дж. Г. Санникдзе. О точных оценках приближения квадратурных формул при интегрировании неограниченных функций	297
*ჯ. სანიკიძე. კვადრატულ ფორმულათა ცდომილების ზუსტი შეფასება შემოსაზღვრული ფუნქციების ინტეგრებისას	304
В. М. Коклашвили. О приближении функций средними рядами Уолша—Фурье	305
*ვ. კოკლაშვილი. უოლშ—ფურის მწკრივის საშუალებით ფუნქციათა მიახლოების შესახებ	310

დრეკადობის თეორია—ТЕОРИЯ УПРУГОСТИ—
THEORY OF ELASTICITY

М. З. Народецкый. Действие сосредоточенных сил на бесконечную пластинку с тремя круговыми отверстиями	311
*მ. ნაროდეცკი. შეუტრსული ძალების მოქმედება სამი წრიული ხერხელის მქონე უსასრულო ფირფიტაზე	318

ჰიდრომექანიკა—ГИДРОМЕХАНИКА—HYDROMECHANICS

С. В. Меунаргия. Моделирование произвольного осушительного канала при конечной глубине водоносного пласта	319
*ს. მეუნარგია. ნებისმიერი ამომზრობი არხის მოდელირება წყალუვნადი პლასტის სასრულო ჩარამავეებისას	324

აბიარნეტიკა—КИБЕРНЕТИКА—CYBERNETICS

Ш. Л. Бебиашвили, О. М. Намичейшвили. Контрольные испытания типовых элементов в форсированном режиме	325
*შ. ბებიაშვილი, ო. ნამიჩეიშვილი. ტიპობრივ ელემენტთა საკონტროლო გამოცდები ფორსირებულ რეჟიმში	332

ფიზიკა—ФИЗИКА—PHYSICS

В. Р. Березовский, Ш. Ш. Гватуа, Р. Н. Кухарский, В. В. Мумладзе. Подавление некоторых мод в излучении рубинового лазера	333
*ვ. ბერეზოვსკი, შ. გვათუა, რ. კუხარსკი, ვ. მუმლაძე. ზოგიერთი მოდების ჩახშობა რუბინის ლაზერის გამოსხივებაში	336
Г. А. Гольдштейн, А. А. Микаберидзе, В. В. Мумладзе, Н. В. Цопцхалишвили. Наблюдение периодического изменения типов колебаний в He-Ne лазере	337
*გ. გოლდშტეინი, ა. მიქაბერიძე, ვ. მუმლაძე, ნ. ცოცხალიშვილი. მოდების პერიოდული ცვლილება გაზურ ლაზერში He—Ne ნარევეზე	339
Р. И. Джибути. Фотоядерные реакции на ядре Li ⁶ с выходом сложных частиц	341
*რ. ჯიბუტი. ფოტობირთვული რეაქციები Li ⁶ ბირთვზე რთული ნაწილაკების გამოსვლით	347
Г. А. Накашидзе, С. М. Абрамов, Б. Г. Беденашвили, Н. П. Мачкалова, Л. М. Куталадзе, И. Н. Сагинашвили. О спектрах электролюминесценции диодов на основе фосфида галлия	349

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.

* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.

*ბ. ნაკაშიძე, ს. აბრამოვი, ბ. ბედენაშვილი, ნ. შაჩკალოვა, ლ. კუტაია, ლ. ლაძე, ი. საგინაშვილი. გაღების ფოტოფიზიკური დიოდების ელექტროლუმინესცენციის სპექტრების შესახებ 353

И. Д. Кирвалидзе. Температурная зависимость фото-э.д.с. в бариево-стронциевом оксидном слое 355

*ი. კირვალიძე. ბარიუმ-სტრონციუმის ოქსიდურ ფენაში ფოტოელექტრომაგნიტური ძალის ტემპერატურული დამოკიდებულება 358

გეოფიზიკა—ГЕОФИЗИКА—GEOPHYSICS

T. Г. Габарашвили. Влияние электрического заряда на рост кристалла льда 359

*თ. გაბარაშვილი. ელექტრული მუხტის გავლენა ყინულის კრისტალის ზრდაზე 354

Л. С. Чантуришвили. О природе становления постоянного электрического тока и частотной зависимости проводимости среды 365

*ლ. ქანტუროშვილი. მუდმივი ელექტრული დენის დამყარება და გარემოს ელექტროგამტარებლობის სიხშირეზე დამოკიდებულების ხასიათი 369

ქიმია—ХИМИЯ—CHEMISTRY

Г. В. Цицишвили (академик АН ГССР), М. С. Шуакришвили. Адсорбционно-структурные свойства асканилы, модифицированной различными азотсодержащими органическими соединениями 371

*გ. ციციშვილი (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი), მ. შუაქრიშვილი. აზოტმემცველი ორგანული ნაერთებით მოდიფიცირებული ბუნებრივი ასკანილის აღსორბციულ-სტრუქტურული თვისებები 378

П. В. Гогоришвили, Е. Г. Давиашвили, М. В. Каркарашвили, Ш. А. Надарейшвили. Об одном мышьяковом препарате 379

*პ. გოგორიშვილი, ე. დავითაშვილი, მ. ყარყარაშვილი, შ. ნადარეიშვილი. დარიშხანის ერთი პრეპარატის შესახებ 382

Г. Д. Чачанидзе, В. С. Варашвили, Н. Г. Лежава. Изготовление и термографическое исследование моноферритов никеля и кобальта 383

*გ. ჩაჩანიძე, ვ. ვარაზაშვილი, ნ. ლეჟავა. ნიკელისა და კობალტის მონოფერიტების დამზადება და მათი თერმოგრაფიული გამოკვლევა 389

Е. Н. Зедელაшвили, М. И. Шанишвили. Исследование радиационно-химического превращения α-нитронафталина и нафталина 391

*ე. ზედელაშვილი, მ. შანიშვილი. α-ნიტრონაფტალინისა და ნაფტალინის რადიაციულ-ქიმიური გარდაქმნის შესწავლა 395

ქიმიური ტექნოლოგია—ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ—CHEMICAL TECHNOLOGY

И. Г. Хизанишвили, Г. Г. Гаприндашвили. Фарфоро-фарфоровые изделия из перлитосодержащих масс 397

*ი. ხიზანიშვილი, გ. გაფრინდაშვილი. ფარფრო-ფარფროვანი მასების პერლიტის შემცველი მასებისგან 402

ბიოქიმია—БИОХИМИЯ—BIOCHEMISTRY

В. Н. Чикванидзе. Об окислении гамма-аминомасляной кислоты митохондриями головного мозга 403

*ვ. ჩიკვანიძე. თავის ტვინის მიტოქონდრიუმების მიერ გამა-ამინომჟავის ოქსიდაციის შესახებ 406

Ц. И. Картозия. Белковые фракции сыворотки крови, тины гемоглобина и фракции гемоглобина при различных формах желтухи у детей 407

*ც. კარტოზია. სისხლის შრატის ცილოვანი ფრაქციები, ჰემოგლობინის ტიპები და ჰემოგლობინის ფრაქციები ბავშვთა ასაკის სხვადასხვა სიყვილის დროს 413

Г. Г. Шамкулашвили. Окислительный обмен аспарагиновой кислоты в срезах и митохондриях головного мозга 415

*გ. შამკულაშვილი. ასპარაგინის ოქსიდაციის ცვალებადობა თავის ტვინის ანატომიისა და მიტოქონდრიუმში 419



გეოგრაფია—ГЕОГРАФИЯ—GEOGRAPHY

Б. П. Джаджанидзе, Г. Н. Хатискаци, Г. К. Чичуа. К палеогеографии верхней части междуречья Иори и Алазани в верхнеплиоценовое и пост-плиоценовое время 421

*ბ. ჯაჯანიძე, გ. ხატისკაცი, გ. ჩიჩუა. იურისა და ალანის მდინარეთაშუეთის პალეოგეოგრაფიისათვის ზედა პლიოცენურ და პოსტპლიოცენურ ხანაში 425

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

М. А. Кекелия, Ю. А. Балашов. Факторы дифференциации редкоземельных элементов в Зекарской габбро-диоритовой интрузии и вмещающей андезито-базальтовой толще 427

*მ. კეკელია, ი. ბალაშოვი. იშვიათი მიწების დიფერენციაციის ფაქტორები ზეკარის ინტრუზიაში და მის შემცველ ანდეზიტო-ბაზალტურ წყებაში 432

პეტროგრაფია—ПЕТРОГРАФИЯ—PETROGRAPHY

Г. Д. Думбадзе. О возрасте Санчарской интрузии 435

*გ. დუმბაძე. სანჩარის ინტრუზიის ასაკის შესახებ 438

პალეობიოლოგია—ПАЛЕОБИОЛОГИЯ—PALAEOBIOLOGY

Ц. И. Бадзошвили. К изучению *Cerithiidae* мезотического яруса 439

*ც. ბაძოშვილი. მეოტური სართლის ცერითიდების შესწავლისათვის 446

ტექნიკა—ТЕХНИКА—ENGINEERING GENERAL

Г. И. Мамасახлисов. К вопросу определения числа приемо-отправочных путей железнодорожных станций 447

*გ. მამასახლისოვი. რკინიგზის სადგურების მიმღებ-გამგზავნი ლინდაგების რიცხვის ანგარიშის საკითხისათვის 454

მეტალურგია—МЕТАЛЛУРГИЯ—METALLURGY

В. А. Пирцхалайшвили, М. А. Набичвришвили. Структура и некоторые свойства аустенитных хромомарганцевых сталей, легированных никелем, молибденом и ниобием 455

*ვ. ფირცხალაიშვილი, მ. ნაბიჭვირეშვილი. ნიკელით, მოლიბდენითა და ნიობიუმით ლეგირებული აუსტენიტური ქრომომანგანუმის ფოლადების სტრუქტურა და ზოგიერთი თვისება 461

მანქანათმშენებლობა—МАШИНОВЕДЕНИЕ—

МЕCHANICAL ENGINEERING

Д. С. Тавхелидзе, Г. А. Джабуа. К вопросу выбора некоторых размеров звеньев пространственного четырехзвенного механизма 463

*დ. თავხელიძე, გ. ჯაბუა. სივრცითი ოთხზღაუა მექანიზმებში, რგოლების ზოგიერთი ზომის შერჩევის საკითხი 467

ავტომატიკა და ტელემექანიკა—АВТОМАТИКА И ТЕЛЕМЕХАНИКА—

AUTOMATICS AND TELEMCHANICS

М. В. Каджаров. Некоторые способы формирования кода в преобразователях, работающих по методу пространственного кодирования без физического представления кода 439

*მ. კაჯაროვი. გარდამსახეში კოდის ფორმირების ზოგიერთი საშუალება, რომელიც მუშაობს სივრცული კოდირების მეთოდით კოდის ფიზიკური წარმოდგენის გარეშე 474

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

Н. А. Маргалитадзе. История лесов Дабадзвельского плато в голоцене по данным спорово-пыльцевого анализа 475

*ნ. მარგალიტაძე. დაბაძულის პლატოს ტყის ისტორია პოლოცენში სპოროვან-მტეროვანი მონაცემების საფუძველზე 481

მეცენარეობა—РАСТЕНИЕВОДСТВО—PLANT-GROWING

А. Г. Гавакешавили. Некоторые результаты первичного испытания новых подвоов винограда в условиях Хирсского совхоза 483

*ა. გავაკეშავილი. ვაშის ახალი საძირეების ხირსის საბჭოთა მეურნეობის პირობებში პირველადი გამოცდის ზოგიერთი შედეგი 489



ფიტოპათოლოგია—ФИТОПАТОЛОГИЯ—PHYTOPATHOLOGY

საქართველოს
აკადემიისთვის

- ლ. მშვიდლოძე. გარგარიდან გამოყოფილი სოკო ვერტიცილიუმის ტოქსიკურობის საკითხისათვის 491
- *Л. В. Мшвидобадзе. К изучению токсичности гриба вертициллиум, выделенного из абрикоса 496

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

- О. И. Санеблидзе, К. Ш. Надарейшвили, Ю. Я. Шафир. Радиационные изменения биоэлектрических и биомеханических явлений в скелетных мышцах лягушки 499
- *ო. სანებლიძე, კ. ნადარეიშვილი, ი. შაფირი. მაინიზებული რადიაციის გავლენა ბაყაყის განივზოლიანი კუნთების ბიოელექტრულ და ბიომექანიკურ მოვლენებზე 505
- გ. ჩიტორელიძე. ჰიპოთალამუსის ზოგიერთი ბირთვის გავლენა დასხვებული ვირთაგვას თირკმელზედა ჭირკვლის ვენტრ სისხლში კორტიკოსტერონის შემცველობაზე 507
- *Г. В. Читорелидзе. Влияние некоторых ядер гипоталамуса на содержание кортикостерона в венозной крови надпочечников облученной крысы 512

მასპერიმენტული მედიცინა—ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА—EXPERIMENTAL MEDICINE

- Д. Г. Тодадзе. К изучению гистохимических особенностей аденокарциномы матки 513
- *გ. თოდაძე. საშვილოსნოს ადნოკარცინომების ჰისტოქიმიურ თავისებურებათა შესწავლისათვის 518
- В. О. Иосава. Роль миеоэпителиальных клеток в гистогенезе так называемых смешанных опухолей слюнных желез 519
- *ვ. იოსავა. მიოეპითელიური უჯრედების როლი სანერწყვე ჭირკვლების ე. წ. შერეული სიმსივნეების ჰისტოგენეზში 524
- Г. В. Квиташвили, Э. Ш. Боцвадзе, Л. М. Мосулишвили, Н. Е. Кучава, Э. Н. Гинтури. К изучению обмена микроэлементов при инфекционном гепатите методом нейтронной активации 525
- *გ. კვიტაშვილი, ე. ბოცვაძე, ლ. მოსულიშვილი, ნ. კუჭავა, ე. გინტური. მიკროელემენტების ცვლის შესწავლისათვის ინფექციური ჰეპატიტის დროს ნეიტრონული აქტივაციის მეთოდით 529

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—CLINICAL MEDICINE

- ბ. ქლევტი. ყბა-სახის მიდამოში სპირტ-ნოვოკაინის 5%-იანი ხსნარის გამოყენების საკითხისათვის 531
- *Н. И. Жгенти. К вопросу применения 5% спирт-новокаинового раствора в челюстно-лицевой области 535
- ლ. დამბაშიძე. მუხლის სახსრის ტუმბერკულოზური ანთების მკურნალობის საკითხისათვის 537
- *Л. С. Гамбашидзе. К вопросу о лечении туберкулезных гонитов 540

ენათმეცნიერება —ЯЗЫКОЗНАНИЕ—LINGUISTICS

- ტ. გულდავა. მახვილის ადგილისათვის ხუნძური ენის ზნაში 541
- *Т. Е. Гудава. Ударение в глаголе аварского языка 545

ისტორია—ИСТОРИЯ—HISTORY

- ალ. ბოხოჩაძე. კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობის საკითხისათვის ძვ. წ. IV—III საუკუნეებში 547
- *А. В. Бохоцадзе. К вопросу о местонахождении столицы Колхского царства в IV—III вв. до н. э. 552
- მ. ცინცაძე. საქართველო-ადიღეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან 553
- *М. В. Цинцадзе. Из истории грузино-адыгейских экономических и культурных взаимоотношений 557



УТВЕРЖДЕНО
Президиумом Академии наук
Грузинской ССР
28.3.1963

ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях Академии наук Грузинской ССР» публикуются статьи научных работников Академии наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора, — полный текст, а на другом языке — краткое изложение основного текста.

5. Объем статьи, включая иллюстрации, не должен превышать 20 000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках «Сообщений» не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию «Сообщений» для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части на иллюстрациях должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и добавления после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными; необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автор получает бесплатно 10 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, ул. КУТУЗОВА, 15

Телефон 7-18-05, доб. 3-42

Условия подписки: на 1 год — 12 руб., на 6 месяцев — 6 руб.

ჟანი 1 მან.
ცენა 1 რუბ.

დ ა მ ტ კ ი ც ე ზ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის მიერ 28.3.1963

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“
დ ე ზ უ ლ ე ზ ა

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.
2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
3. „მოამბე“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდურითაა დაბეჭდილი. ყოველი კვარტალის ნაკვეთები (სამი ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.
4. „მოამბეში“ დასაბეჭდად წერილები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სურვილისამებრ, —სრული ძირითადი ტექსტი, ხოლო მეორეზე —ძირითადი ტექსტის შემოკლებული გამოცემა.
5. წერილის მოკულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტამბო ნიშანს (ჟურნალის 8 გვერდს); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.
6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრულად, რათა მან, დადებითად შეფასების შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბეჭდად.
7. წერილები (ავრთვე სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალად, დასაბეჭდად საყვებით მოწოდებული. ფორმულები ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობარივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღარ შეიძლება.
8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შეძლებისდაგვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ჟურნალისა, რომელშიც დაბეჭდილია წერილი, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წელის მითითება.
9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერაღს ერთვის ბოლოში. ლიტერატურის მითითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იქნეს შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.
10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი.
წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.
11. ავტორს ეძლევა გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოდგენილი, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.
12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

რ ე დ ა მ ტ კ ი ს მ ი ნ ა მ ა რ თ ი: თბილისი, კუტაშვილის ქ. 15

ტელეფონი 7-18-05, დამ. 3-42

ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი: 1 წლით—12 მან., 6 თვით—6 მან.

ИНДЕКС 76181